პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 187 (14791)

12 აგვისტო ოთხშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

## სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახვედრად

### მაღალი ჯილდო

თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკის კოლექტივი გეგმებს მუდამ გადაჭარბებით ასრულებს. მეორე კვარტალში მიღწეული წარმატებებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია დაიმსახურა.

მთავრობის მაღალი ჯილდოთი აღფრთოვანებულმა საწარმოს კოლექტივმა კიდევ უფრო გააძლიერა შრომის ტემპი და შვიდ თვეში გეგმით გათვალისწინებული 7 ათას 46 ტონის ნაცვლად გამოუშვა 7 ათას 96 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი, პროდუქციის რეალიზაციას 355 ათასი მანეთით გადააჭარბა, შრომის ნაყოფიერება 2,2 პროცენტით აამაღლა და 55 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება მიიღო.

სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე განაღდებისათვის შეჯიბრება სულ უფრო ძლიერდება.

### დაწინაურდნენ ავტოშემკეთებლები

სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს დედაქალაქის № 2 ავტოშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი.

ავტოშემკეთებლებმა პროდუქციის რეალიზაციის შვიდი თვის გეგმა 102 პროცენტით შეასრულეს, ხოლო სასაქონლო და საერთო პროდუქციისა — 103,2 პროცენტით. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 15 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო ზეგეგმითმა მოგებამ 1100 მანეთს მიაღწია. შრომის ნაყოფიერება 5,3 პროცენტით აამაღლეს, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 2 ათასი მანეთით შეამცირეს.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და კარგ მაჩვენებლებს აღწევენ გ. მელაძისა და გ. ვარამაშვილის კომუნისტური შრომის ბრიგადები. ასევე კარგი შედეგები აქვთ მოწინავე ავტოშემკეთებლებს ო. ლეჟავას, მ. ქსოვრელსა და თ. ციმბალს.

□

### შრომის დამკვრელური ტემპი

ქუთაისი. (საკ. კორ.). სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში რომ ჩაება, ლითოფონის ქარხნის კოლექტივმა შრომის დამკვრელური ტემპი აიღო და პირველი გამარჯვებაც მოიპოვა.

ქუთაისელმა ქიმიკოსებმა შვიდი თვის გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცეს დიდძალი ლითოფონი, შაბიამანი, მიკრობარიტი, სრესილი საღებავი, ლაქ-ემალები და სხვა ძვირფასი ქიმიური ნაწარმი. ამასთან აქ ნახევარ წელიწადში გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის დავალება და 1 მილიონ 863 ათასი მანეთი წმინდა მოგება მიიღეს, რითაც ბევრად გადააჭარბეს სახელმწიფო გეგმას.

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სარწყავი და ამოშრობილი მიწების გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების, სამელიორაციო სისტემათა ექსპლოატაციის გაუმჯობესებისა და ამ სფეროში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციისა და სარწყავი და ამოშრობილი მიწების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ყველა კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა მაღალპროდუქტიულად როდი იყენებს სარწყავ და ამოშრობილ მიწებს. ამ მიზეზით მელიორირებული მიწებიდან ყოველწლიურად მნიშვნელოვანი რაოდენობით გვაკლდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია. მარცვლეულის განსაკუთრებით დაბალ მოსავალს სარწყავი მიწებიდან იღებს აზერბაიჯანის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, დაღესტნის ასსრ და სარატოვის ოლქის ბევრი მეურნეობა.

მთელ რიგ მეურნეობებში მელიორირებულ მიწებზე ნელა ინერგება მეცნიერულად დასაბუთებული თესლბრუნვა, მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესებში არასაკმარისი რაოდენობით შეაქვთ მინერალური და ორგანული სასუქები, დროულად არ ახორციელებენ მინდვრის სამუშაოებს, არ იცავენ რწყვის რეჟიმს. სუსტად მიმდინარეობს სარწყავი მიწათმოქმედებისათვის მასობრივი პროფესიების (მრწყველების, დასაწვიმებელი მანქანებისა და სატუმბავ-ძალური დანადგარების მერემონტეების, მემანქანეების) კადრების მომზადებისა და გადამზადების სამუშაოები.

ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა არ გამოყოფს სახსრებს, რათა სათანადო ტექნიკურ მდგომარეობაში იქონიონ შიდასამეურნეო სარწყავი, ამოსაშრობი და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი. ეს იწვევს სარწყავი და ამოშრობილი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუარესებას და ზოგიერთ შემთხვევაში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან მათს ამოვარდნას. ჯერ კიდევ არის არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის მელიორირებული ფართობების დაუსაბუთებლად გამოყოფის ფაქტები.

წყალსამეურნეო ორგანიზაციები სათანადო მოცულობით არ ასრულებენ ხელშეკრულებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შიდასამეურნეო ქსელის სარემონტო სამუშაოებს, სისტემატურად არ ასრულებენ საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელის მშენებლობის, მიწების დაგეგმვის, ძველი სარწყავი სისტემების რეკონსტრუქციის და მათი წყლით უზრუნველყოფის გადიდების გეგმებს.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სარწყავი და ამოშრობილი მიწების სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისადმი და მიწების მელიორაციისათვის სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლებისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით, სარწყავ და ამოშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების წლიური გეგმები, რომლებსაც კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეიმუშავებენ, უნდა განიხილონ და დაამტკიცონ რაიაღმასკომებმა და გაითვალისწინონ საოლქო, სამხარეო აღმასკომებმა, ავტონომიური და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ხოლო სსრ კავშირის მასშტაბით — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

სარწყავ და ამოშრობილ მიწებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულება გათვალისწინებულ უნდა იქნას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანიზაციების, აგრეთვე რაიონის, ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის პასუხისმგებელი საბჭოთა ორგანოების მუშაობის შეფასებისას და სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები ვალდებული არიან მიზნობრივი დანიშნულებით გამოყონ მინერალური სასუქები მელიორირებულ მიწებზე შესატანად, ხოლო სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ადგილობრივმა სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა მკაცრი კონტროლი დააწესონ მელიორირებულ მინდვრებში დაწესებული ნორმებით მინერალური სასუქების სწორად გამოყენებისადმი. სარწყავი მიწების გამოყენებისათვის კონტროლის გასაძლიერებლად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო ვალდებულია ყოველწლიურად მოაწყოს ამ მიწებზე ნათესი ფართობების საკონტროლო გაზომვა.

სამელიორაციო სისტემათა ექსპლოატაციისა და სარწყავი და ამოშრობილი მიწების გამოყენებისათვის სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით დადგენილია, რომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ მელიორირებული მიწების მთლიან და მაღალპროდუქტიულ გამოყენებას, რწყვის პროგრესული წესების დანერგვას, წყლის მომჭირნედ გამოყენებას მეურნეობებში, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაღალპროდუქტიული ჯიშების გამოყვანასა და დანერგვას მელიორირებულ მიწებზე გაშენებისათვის. სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრო, მოკავშირე რესპუბლიკების მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები და მათი ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან წესიერ მდგომარეობაში იქონიონ სამეურნეობათაშორისო ქსელი, ჰიდროკვანძები და ნაგებობანი, მიაღწიონ მეურნეობებისათვის წყლის დროულ და შეუფერხებელ მიწოდებას, ტექნიკური დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შიდასამეურნეო სარწყავი, ამოსაშრობი და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელის და მათი ნაგებობების რემონტისა და ექსპლოატაციის საქმეში, შეასრულონ მეურნეობებთან ხელშეკრულებით შიდასამეურნეო ქსელის გასაწმენდი არხებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სარემონტო სამუშაოები.

დადგენილებაში განსაზღვრულია სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთელი რიგი სხვა ფუნქციები სამელიორაციო სისტემათა ექსპლოატაციის გაუმჯობესებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს დაევალათ უსასყიდლოდ, წესიერ მდგომარეობაში გადასცენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების ბალანსზე წყალსამეურნეო და სხვა ორგანიზაციათა ბალანსიდან მათ მიწებზე არსებული მთელი შიდასამეურნეო სარწყავი, ამოსაშრობი და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი თავისი ნაგებობებით. დადგენილია მომავლისათვის მშენებლობადამთავრებულ შიდასამეურნეო სამელიორაციო ქსელისა და მისი ნაგებობების გადაცემის ასეთივე წესი.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად დაევალა შეიმუშაოს და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში დასამტკიცებლად წარადგინოს სამელიორაციო ქსელის და მასზე არსებულ ნაგებობათა რემონტისათვის მასალების ხარჯვის ნორმები, ხოლო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს გეგმების პროექტებში ამ ნორმების შესაბამისად საჭირო მასალების გამოყოფა.

შიდასამეურნეო სამელიორაციო ქსელის რემონტისათვის სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საჭირო რკინაბეტონით უნდა მისცეს ნაკეთობანი (ღარები, რგოლები, მილები და სხვ.).

სარწყავი და ამოშრობილი მიწების პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით 1971-1975 წლებისათვის დადგენილია არსებული სარწყავი მიწების სამელიორაციო გაუმჯობესებისა და დაგეგმვის მათი წყლით უზრუნველყოფის ამაღლების დავალებანი, აგრეთვე 4.870 ათასი ჰექტარი საერთო შეჯამებული ფართობის სარწყავი და ამოსაშრობი სისტემების რეკონსტრუქციის დავალებანი.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას დაევალათ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით შეიმუშაონ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგინონ სამელიორაციო და წყალთა მეურნეობის ორგანოთა საექსპლოატაციო სამსახურის წესდება, ამასთან ამ წესდებაში განსაზღვრონ საექსპლოატაციო სამსახურის ამოცანები, წყლით მოსარგებლეთა და მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ორგანოების უფლებანი და მოვალეობანი, წყალსამეურნეო სისტემათა და ნაგებობათა ექსპლოატაციის წესების დაცვისათვის პასუხისმგებლობა, აგრეთვე მათი დაცვის ღონისძიებანი. დადგენილებაში გადაჭრილია აგრეთვე მელიორირებული მიწების გამოყენების გაუმჯობესების მთელი რიგი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხებიც.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს სამელიორაციო სისტემათა ექსპლოატაცია, ეფექტიანად გამოიყენონ წყალი, მთლიანად აითვისონ სარწყავი და ამოშრობილი მიწები და მიიღონ მათზე მარცვლეული, ტექნიკური და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი და მყარი მოსავალი.

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში ფართოდ ინერგება ჩაის ფოთლის მექანიზებული კრეფა. ქვედა ბახვის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზებულად იკრიფება 28 ჰექტარი პლანტაცია. სურათზე: მოწინავე მექანიზატორები (მარცხნიდან მარჯვნივ) ო. შათირიშვილი, ა. შათირიშვილი და მ. ინწკირველი ჩაის საკრეფი მანქანებით კრეფენ ჩაის ფოთოლს. თვითეული გადაჭარბებით ასრულებს კრეფის დღიურ ნორმას.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

## ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისა და ამხანაგ გ. ჰუსაკის შეხვედრა

10 აგვისტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. ჰუსაკს, რომელიც დასასვენებლად არის საბჭოთა კავშირში.

მეგობრული საუბრის დროს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და გ. ჰუსაკმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირსა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკას შორის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე.

დიდი კმაყოფილებით აღინიშნა, რომ ორ პარტიასა და ქვეყანას შორის ყოველმხრივი თანამშრომლობა განუხრელად მტკიცდება და ფართოვდება სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხალხთა საკეთილდღეოდ, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ინტერესების შესაბამისად.

საუბარმა გულითად, ამხანაგურ ვითარებაში ჩაიარა.

□

## მეგობართა შეჯიბრება

კიროვაკანი, 10 აგვისტო. (საქდესის კორ.). ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ერთმანეთს ეჯიბრებიან ამიერკავკასიის ხუთი მოძმე ქალაქის — კიროვაკანის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავისა და სუმგაითის მშრომელები. მათი წარმომადგენლების ჩასვლა ერთმანეთთან მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, მოწინავე გამოცდილების გაზიარებას.

კიროვაკანმა კვლავ სტუმართმოყვრულად მიიღო მოძმე ქალაქებიდან ჩამოსული დელეგაციები. ალ. მიასნიკიანის სახელობის ქიმიური კომბინატის კულტურის სასახლეში გაიმართა ქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებთან შეხვედრა, რომელზეც განაზოგადეს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

სომხეთის კომპარტიის კიროვაკანის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. ოგანიანმა გააკეთა ინფორმაცია კიროვაკანელთა შრომითს წარმატებებზე.

თავიანთი ქალაქების მშრომელთა მიღწევებზე ილაპარაკეს სუმგაითის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ გ. ახუნდოვმა, ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ტ. ხალვაშმა და პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგემ — მ. ბედენაშვილმა.

სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებს გადაეცათ გარდამავალი წითელი დროშები.

## ახალ შეხვედრამდე, ვოლგოგრადელებო!

ერთ თვეზე მეტხანს იყო თბილისში საგასტროლოდ ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის სახელგანთქმული კოლექტივი. ეს იყო მართლაც მეგობრობის გასტროლები: ქართულ სცენაზე ოსტატობას უჩვენებდნენ გმირი ქალაქის მსახიობები, ხოლო ვოლგოგრადში სპექტაკლები გამართეს თბილისის საოპერო თეატრის მსახიობებმა.

40 დღის მანძილზე ოპერის თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო თბილისელებით, რომლებიც ტკბებოდნენ ვოლგოგრადელ მსახიობთა შესანიშნავი ხელოვნებით. ვოლგოგრადელებს დიდი წარმატება ხვდათ კლასიკოსებისა და თანამედროვე კომპოზიტორების ნაწარმოებთა კარგი შესრულებისათვის.

10 აგვისტოს გაიმართა სტუმრების გამოსათხოვარი კონცერტი. ვოლგოგრადელებმა შეასრულეს ნაწყვეტები ოპერეტებიდან, საბალეტო ნომრები. მაყურებლებმა ტაშით დააჯილდოვეს სცენის ვეტერანებიც და ახალგაზრდა მსახიობებიც, რომლებიც სიხარულს ანიჭებენ მაყურებელს.

კონცერტის შემდეგ სტუმრებს მიესალმა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ო. თაქთაქიშვილი. მან აღნიშნა, რომ თეატრის გასტროლებმა წარმატებით ჩაიარა და ვოლგოგრადელებს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, რომლითაც თეატრი დაჯილდოვდა თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. მშვედლიძემ მადლობა გადაუხადა ვოლგოგრადელებს ხალისიანი, მხიარული ხელოვნებისათვის, კოლექტივს უსურვა ახალი შემოქმედებითი წარმატებანი და იმედი გამოთქვა, რომ ვოლგოგრადელები კვლავაც ჩამოვლენ საქართველოს დედაქალაქში.

ვოლგოგრადის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივის სახელით სიტყვა წარმოთქვა თეატრის მთავარმა რეჟისორმა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ი. გენინმა: — არასოდეს არ დაგვავიწყდება თბილისელთა გულითადი შეხვედრა. გასტროლები ამ შესანიშნავ ქალაქში ნათელ ფურცლად ჩაიწერება ჩვენი თეატრის ისტორიაში. დღეს ვემშვიდობებით გულისხმიერ თბილისელ მაყურებლებს და ვეუბნებით: ნახვამდის, ძვირფასო მეგობრებო, ახალ შეხვედრამდე!

გამოსათხოვარ კონცერტზე იყვნენ გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ა. როდიონოვი, მ. ა. გოგიჩაიშვილი, შ. დ. კიკნაძე. (საქდესი).

## სარწყავი მიწათმოქმედების ლაბორატორია

საბჭოთა მეურნეობა „ენგელსკი", სადაც თითქმის ყველა მარცვლეული კულტურა სარწყავ მიწებზე მოჰყავთ, საშუალოდ ჰექტარზე მოიწიეს 42 ცენტნერი მარცვლეული. მოსავლის შემოსავალმა დაფარა რწყვის ყველა ხარჯი. დაახლოებით ასეთივე მოსავალი მოიწიეს შევჩენკოს სახელობის კოლმეურნეობის, კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზით" და საბჭოთა მეურნეობა „ნოვის" სარწყავ მიწებზე.

საბჭოთა მეურნეობა „ენგელსკი" ვოლგის გაღმა რაიონებში სარწყავი მიწათმოქმედების ლაბორატორია გახდა. აქ უახლოეს წლებში უნდა შეიქმნას სარწყავი მიწათმოქმედების დიდი ზონა. საბჭოთა მეურნეობაში არჩევენ რწყვის ოპტიმალურ ნორმებს და ვადებს, ცდიან სასუქების ეფექტიანობას. სამუშაოები საწარმოო პირობებში მიმდინარეობს ასობით ჰექტარზე. ამ საბჭოთა მეურნეობის გამოცდილების საფუძველზე შეიქმნება დიდი სარწყავი მეურნეობები, რომელთათვის უკვე აშენებენ სარწყავ სისტემებს. (საქდესის კორ.).

სარატოვი

□

## ჩვენი დიდი სამშობლო

### „კომუნარასის" ჩარხების ახალი გამა

ვილნიუსი, 11 აგვისტო. (საქდესის კორ.). ვილნიუსის ქარხანა „კომუნარასმა" მომხმარებლებს გაუგზავნა გადიდებული სიზუსტის „65323" მარკის ახალი ჩარხების პირველი პარტია. ეს აგრეგატი ცვლის საფრეზზე და კოორდინაციულ-საჩარხ ორ ჩარხს. იგი აღჭურვილია ოპტიკური სისტემით. „65323" პირველია უკონსოლო-საფრეზი ჩარხების ახალი გამიდან. ახლა ქარხანა ამზადებს დიდმწარმოებლურ „6520" ტიპის ჩარხებს. დეტალების დამუშავება ავტომატიზებულია.

ახალი გამის ჩარხების დეტალებისა და კვანძების 90 პროცენტი უნიფიცირებულია. ეს საშუალებას მისცემს საწარმოს მნიშვნელოვნად შეამციროს შრომის დანახარჯები მათი დამზადებისათვის.

„კომუნარასის" ჩარხები ჩვენი ქვეყნის ბევრ მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშაობენ და საექსპორტოდ იგზავნება მსოფლიოს 30 ქვეყანაში.

### მუსიკალური გვირგვინი ქართველ პოეტს

შოთა რუსთაველის სახე შექმნილია პოემაში „საქართველო. რუსთაველი", რომელიც გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის დაწერა აზერბაიჯანელმა კომპოზიტორმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ფიქრეთ ამიროვმა. პოეტური ტექსტის ავტორია — თეიმურ ელჩინი, რუსული თარგმანი ეკუთვნის სიავუშ მამედზადეს.

— პოემის ემოციური წყობა და მუსიკალური სტილისტიკა გაჟღენთილია ქართული და აზერბაიჯანული მუსიკის ინტონაციებით, — უთხრა ფ. ამიროვმა საქდესის კორესპონდენტს. — დიდი რუსთაველის შემოქმედება დიდი ხანია მიტაცებს აზრის სიღრმითა და მხატვრული სრულყოფით. პოეტის ჰუმანისტური იდეები დღესაც თანამედროვეა. შოთა რუსთაველის მგზნებარე მუზა ჩემთვის შთაგონების წყარო იყო. მე ვცდილობდი ჩემს ნაწარმოებში ხოტბა შემესხა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საუკუნოვანი მეგობრობისათვის.

ბაქო.

□

## საქდესის ცნობა

1970 წლის 10 აგვისტოს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-356". თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საქდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამომთვლელი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

## გავაფართოვოთ სარწყავი სისტემის მშენებლობა





სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო სარწყავი სისტემის შემდგომ გაფართოებასა და მშენებლობას. ამ მხრივ სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება ჩვენს რესპუბლიკაში. წელს მწყობრში ჩადგება ქვემო სამგორის სარწყავი სისტემა, რომელიც მორწყავს 40 ათას ჰექტარს. კარგა ხანია მოქმედებს თელეთის სარწყავი სისტემა. სურათზე მარცხნივ თქვენ ხედავთ ღარულ სარწყავ სისტემას თელეთის სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობაში; სურათზე მარჯვნივ აღბეჭდილია ხეხილის ბაღების მექანიზებული რწყვა.

ფოტო ი. დავითაშვილისა და ს. თევზაძისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში!

### პარტიული კომიტეტების პლენუმებზე

# ნაკლის მხილების გზით

უკანასკნელ წლებში ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა თვალსაჩინო შედეგებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქმეში. მეჩაიეებმა უკვე 10 ივნისისათვის შეასრულეს ხუთწლიანი დავალება და იკისრეს ვალდებულება გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 10 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი. ვადამდე შესრულდა აგრეთვე აბრეშუმის პარკის, ხორცის, კვერცხის, ტუნგის დამზადების ხუთწლიანი გეგმები. გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურათა საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე, მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

ეს ციფრები მოყვანილ იქნა პარტიის რაიკომის პლენუმზე, რომელმაც განიხილა საკითხი — „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმების შედეგები და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები".

მომხსენებელი — პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივანი ა. ჭითანავა და კამათში გამოსული ამხანაგები — რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარე ა. კუტალია, კახათის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი კ. ჭკუშია, „სასოფლტექნიკის" რაიონული გაერთიანების მმართველი მ. დარასელია, ჩხორიის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ო. ჭითანავა, ზედა ეწერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმის პარტბიუროს მდივანი ჯ. ფიფია და სხვები მიღწევებთან ერთად ხაზს უსვამდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში დღემდე არსებულ ნაკლოვანებებს.

რაიონში ჯერ კიდევ შეუწყნარებლად ნელი ტემპით ვითარდება მარცვლეულის მეურნეობა. ამის ძირითადი მიზეზია სიმინდის მოსავლიანობის დაბალი დონე. განვლილ 4 წელიწადში სიმინდის წარმოების ხუთწლიანი გეგმა მხოლოდ 55 პროცენტით შესრულდა. ანალოგიური მდგომარეობაა ხილისა და ბოსტნეულის წარმოების საქმეში.

როგორც მომხსენებელი, ისე ორატორები ყურადღებას ამახვილებდნენ მეჩაიეობაზე, როგორც რაიონის ეკონომიკის მთავარ წყაროზე. და ეს გასაგებიც არის. კოლმეურნეობათა მთელი შემოსავლის 87 პროცენტი ამ კულტურაზე მოდის. შარშან მეჩაიეობიდან მიღებულმა ფულადმა შემოსავალმა 15 მილიონ 409 ათასი მანეთი შეადგინა, გეგმა კი 14 მილიონ 887 ათას მანეთს ითვალისწინებდა. ბევრ საზოგადოებრივ მეურნეობაში ჩაის ფოთლის მოსავლიანობა დიდად გაიზარდა. მაგრამ წარმატებები გაცილებით მეტი იქნებოდა, უკეთუ გან რომ სათანადო ყურადღებას აქცევდნენ ამ დარგის განვითარებას. მეტწილ კოლმეურნეობებში სუსტად იბრძვიან ჩაის სიმეჩხერის წინააღმდეგ. ჯერ კიდევ დაბალ დონეზეა კომპლექსური მექანიზაცია. განსაკუთრებით სერიოზული ნაკლოვანებებია მანქანებით ჩაის კრეფის საქმეში. შარშან არც ერთ კოლმეურნეობას არ შეუსრულებია ჩაის ფოთლის მანქანებით კრეფის დავალება.

როგორც პლენუმზე აღინიშნა, რაიონის საზოგადოებრივი მეცხოველეობა აღმავლობის გზაზეა. ბოლო ოთხი წლის მანძილზე თვითეული ფურის წველადობა საშუალოდ 437 ლიტრით გაიზარდა. ამავე პერიოდში რძის თვითღირებულება შემცირდა 7 მანეთითა და 40 კაპიკით, ცენტნერი ხორცისა — 49 მანეთით. მიუხედავად ამისა, მაინც საგრძნობლად დიდია მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება.

რაიონის მშრომელები დღითიდღე აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულება ხელს შეუწყობს მათ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებაში.

გ. ნოდია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

□ □ □

# ეფექტურად გამოვიყენოთ რეზერვები

გარდაბნის რაიონის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ პარტიის XXIII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებს, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. ჩაბარების მოცულობა წინა ხუთწლედთან შედარებით მიმდინარე ხუთწლედში გადიდდა: ბოსტნეულისა — 15.200 ტონით, კვერცხისა — 25 მილიონი ცალით, რძისა — 3.271 ტონით, ხორცისა — 1.229 ტონით, ხილისა — 1.718 ტონით, ყურძნისა 3.080 ტონით, მარცვლისა — 571 ტონით. გადამეტებით შესრულდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფოსათვის მიყიდვის მიმდინარე წლის 6 თვის დავალებაც. განსაკუთრებით მაღალ წარმატებებს აღწევენ ლოჭინისა და ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკები, მუხროვანის, გარდაბნის, ვარკეთილის, ჯანდარისა და სხვა საბჭოთა მეურნეობები.

საზოგადოებრივი წარმოების ზრდამ განამტკიცა საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკა, გააუმჯობესა სოფლის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა.

ყოველივე ამის შესახებ ითქვა პარტიის გარდაბნის რაიკომის ამას წინათ შემდგარ პლენუმზე, რომელმაც განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების შედეგები და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. ამასთანავე მომხსენებელი — პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ა. ბექაური და კამათში გამოსული ორატორები აღნიშნავდნენ, რომ რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი.

მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში ეფექტურად ვერ იყენებენ ტექნიკას, მინერალურ სასუქებს, სარწყავ მიწებს. არასრულად ხორციელდება აგროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი, რის შედეგადაც მცირდება სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა. ნელა ვითარდება მარცვლეულის მეურნეობა. ბოლო წლებში მარცვლეულის დაბალი მოსავალი მოჰყავთ ავჭალის, ლილოს, მარტყოფისა და ზოგიერთ სხვა საბჭოთა მეურნეობებს. ყველა ღონისძიება არ ხორციელდება ბოსტნეული კულტურებისა და კარტოფილის მოსავლიანობის გასადიდებლად.

ნაკლოვანებებია მეცხოველეობის განვითარებაში, რაც ძირითადად სუსტი საკვები ბაზით აიხსნება. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში მოუგვარებელია პირუტყვის ინტენსიური სუქება. ჯერ კიდევ დაბალია შრომატევადი პროცესების მექანიზაცია.

პლენუმის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერების აუცილებლობას.

რაიკომის პლენუმმა ერთსულოვნად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებანი და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. მიღებული დადგენილება რაიონის კომუნისტებს, ყველა მშრომელთ მოუწოდებს განუხრელად იბრძოლონ სოფლის მეურნეობის წარმოების ახალი აღმავლობისათვის, სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად.

ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# თეორიული კონფერენცია

ხაშური. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის სხდომათა დარბაზში ჩაიმართა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისადმი მიძღვნილი თეორიული კონფერენცია.

პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ უ. ჩიკვილაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე „ვ. ი. ლენინი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის შესახებ", „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა თანამედროვე ეტაპზე" — ასეთი იყო თემა მოხსენებისა, რომელიც წაიკითხა ი. ჭავჭავაძის სახელობის ხაშურის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ო. ცარციძემ. საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ტ. ჭარამიშვილმა თავისი მოხსენება მიუძღვნა თემას — „მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და ათეისტური აღზრდა".

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ მ. ბულაძე, გ. ღონღაძე, ლ. ალავიძე, ე. კიკნაშვილი.

ამავე საკითხზე თეორიული კონფერენციები მოეწყო სოფლების ბერბუკის, ცხამისა და ლიჩის მშრომელთათვის.

## საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის შესახვედრად

# ბედი სოფლისა

ცივგომბორის მთის ერთ კალთაზე შეფენილია სოფელი მირზაანი. ალბათ გაგიგონიათ ფიროსმანის სამშობლო. „ნიკალას" ნახატივით მადლიანია ეს ადგილი. აქედან ხელისგულივით მოჩანს მთელი კახეთი — დაგდებული ვერცხლის ქამარივით მოელვარე ალაზანი, მისი ველები და ვენახები, ზვრები და ხოდაბუნები, თოვლით დაფარული კავკასიონის ქედები.

საუკუნის მოწმესავით შემორჩენილან ამ სოფელს ძმები შაქრო და ილია ჯავაშვილები. უფროსმა — ილიამ უკვე ას წელს გადააბიჯა. ჯერ რუსეთ-იაპონიის, შემდეგ პირველმა იმპერიალისტურმა ომმა და ვინ იცის რამდენმა სხვა ჭაფამ მის მხრებზე გადაიარა, მაგრამ ვერაფერმა ვერ გატეხა ბერმუხა.

ძმარ, ძმითა ხარ მდიდარიო... და, მართლაც, ეს ორი ბრგე ვაჟკაცი მხარდამხარ ეძალებოდა ცხოვრებას. მაგრამ ვერ იქნა და ვერ გატეხეს სიღარიბე.

— როცა ცოტაოდენი საქონელი დავიგულეთ, — იგონებს უმცროსი ძმა შაქრო ჯავაშვილი, — მე და ჩემმა ძმამ გუდანაბადი ავიკარით და პირუტყვს დავდევდით, ისიც გაიხსენა, ერთ ღამეს როგორ დაეცნენ ყაჩაღები, როგორ გათოკეს ორივენი და საქონელი იორს გაღმა გადარეკეს. ისევ გარჯა, ისევ შიში, ისევ შიმშილი...

ილია და შაქრო ჯავაშვილებისთვისაც მაშინ გათენდა, როცა სოფელმა მხარი მხარს მისცა, ერთ ძალად გაერთიანდა და შრომის ცეცხლი აავიზგიზა. მათ არც მერე აკლდათ ჯაფა — შაქრომ იმთავითვე მწყემსობა იკისრა, ილიამ კი ხარ-გუთანი შეება, ოჯახი წელში გაიმართა. კარგად ჩაიცვეს და დაიხურეს, კარგი სახლკარი მოაწყეს, შვილები და შვილთაშვილები მოიმრავლეს.

— სიბერე ვერ გამტეხდა, ეს წყეული ომი რომ არ ყოფილიყო, — ამბობს ილია ჯავაშვილი. ომმა შთანთქა მისი უფროსი ვაჟიშვილი და მასთან ერთად ამ სოფლის 88 ბრგე ვაჟკაცი. სოფელი არ ივიწყებს მათს სახელებს. შვილების სიცოცხლესთან ერთად ამ სოფელმა ომში გამარჯვებისათვის გაიღო დიდი შრომა და ენერგია, საკუთარი დანაზოგები, რისთვისაც სოფლის მშრომელებმა და მათმა მაშინდელმა თავკაცმა ივანე ფიროსმანაშვილმა ი. ბ. სტალინის მადლობა დაიმსახურეს. და აი, სამამულო ომის დამთავრების დღიდან წითელწყაროს რაიონის ამ სოფელს სამართლიანად ეწოდა „გამარჯვება".

თაობათა ესტაფეტა საიმედო ხელშია. არა მარტო გაიხარა მოსამა დარგულმა ხემ, არამედ სასტუმრელი ნაყოფიც გამოიღო. კოლექტიური შრომის სიკეთით ავსოთ, გაიზარდა, გაიფურჩქნა სოფელი გამარჯვებაც. ახლა აქ 500-ზე მეტი კომლი ცხოვრობს. არ არსებობს სადღეისო ცხოვრების სიკეთე, რომელიც არა ჰქონდეს ამ სოფელს. ეს კულტურის სახლი, სკოლა, გზა თუ ხიდი მათი ნამაგარი და ნახელავია. ყველაზე დიდი სიკეთე კი მისი ყლორტები — ახალგაზრდობაა, ვინც განაგებს სოფლის ბედს. ახალგაზრდაა თვით ამ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ყოფილი თავმჯდომარის მოგვარე და მოსახელე ივანე ფიროსმანაშვილი, საკოლმეურნეო შრომაში გამობრძმედილი, უმაღლესი განათლების აგრონომი.

კოლმეურნეობა ყოველწლიურად ზრდის როგორც მემინდვრეობის, ისე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებას. გასულ წელს მან სახელმწიფოს მიჰყიდა 1.900 ტონა მარცვლეული, 220 ტონა ხორცი, 800 ტონა რძე, 1000 ტონა ყურძენი და სხვა პროდუქტები, რაც ერთორად აღემატება 1965 წლის მაჩვენებლებს, ხოლო შედარებაც კი არ შეიძლება 1935 წელთან, როცა ის იყო საფუძველი ეყრებოდა ამ სოფელში საკოლმეურნეო წყობილებას.

კოლმეურნეობა, სოფელი ამაყობს ისეთი ადამიანებით, როგორიც არიან მწველავი თამარ არაბული, მეცხვარე გაიოზ ივანიძე, მექანიზატორი გიორგი ზუბაშვილი, საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობის დელეგატი ელენე გორაშვილი და სხვები.

ამ სოფლის სამაყოა სწავლასა და შრომაში დაოსტატებული ახალგაზრდობა. მანანა ფიროსმანაშვილმა და ლალი სეფიაშვილმა წელს დაამთავრეს საშუალო სკოლა, დიდხანს გოგოშვილი კი უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია და არდადეგებს სოფელში ატარებს. ისინი მეწყობილად მღერიან ფანდურზე, მაგრამ ეს პროფესიად კი არ გაუხდიათ, უფროსების მხარდამხარ მუშაობენ მარცვლის მოსავლის აღებაზე, რთველში, თავისუფალ დროს კი კონცერტებს მართავენ.

უფრო ბედნიერნი და სხივმოსილნი არიან შვილთაშვილები. ეს ასეც უნდა იყოს. საბავშვო ბაგა-ბაღი, მის ეზოში ნუშის ყვავილებივით რომ მოფენილან პატარები, კოლმეურნეობამ ამ რამდენიმე წლის წინათ ააგო. ახლა ის ვეღარ აკმაყოფილებს გაზრდილ სოფელს, და კოლმეურნეობამ 100-ადგილიანი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობა დასასრულს უახლოვდება, და ნორჩებს უფრო კეთილმოწყობილი ბაღი და ბევრი სათამაშო ექნებათ.

ვლ. მჭედლიშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

* * *

სურათზე: შინმოუსვლელთა ობელისკის გახსნა წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებაში.
ფოტო ზ. არჯანიკოვისა.

# პროექტი მოიწონეს

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის პროექტის განხილვა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის პროექტის განხილვასა და დამუშავებაში მონაწილეობდა ფართო საზოგადოებრიობა. გეგმის პროექტის განხილვისას მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა შეიტანეს არსებითი წინადადებანი, რომლებიც მიზნად ისახავენ წარმოების რეზერვების უფრო სრულად გამოყენებას, სახალხო მეურნეობაში მომჭირნეობისა და ყაირათიანობის რეჟიმის გაძლიერებას, მოსახლეობის შრომის პირობების, ყოფაცხოვრებისა და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებას.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ვ. კეშელავას მოხსენება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის გეგმის პროექტის შესახებ". პროექტი შემუშავებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების, პროფკავშირთა დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების წინადადებათა საფუძველზე.

სახალხო მეურნეობის განვითარება 1971 წლისათვის ხასიათდება შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსადმი დაქვემდებარებული მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობის ზრდა 1971 წლისათვის 1970 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით გათვალისწინებულია 7 პროცენტით, მათ შორის საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების მრეწველობაში — 6.8 პროცენტით, რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში — 8,2 პროცენტით.

1971 წელს ჩქარი ტემპებით განვითარდება ელექტროენერგეტიკა, სამშენ მასალათა მრეწველობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია გაიზრდება 5,9 პროცენტით.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა მოიწონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი და წინადადება მისცა პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო, რაიონულ საბჭოებს, პროფკავშირების რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს გააძლიერონ მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის, რომ ვადამდე და ხარისხიანად შეასრულონ 1970 წლის დავალებანი და გამონახონ წარმოების რეზერვები მომავალი წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მრეწველობის მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა კომისიის მდივნის გ. სამხარაძის მოხსენება „რესპუბლიკის ზოგიერთი სამრეწველო საწარმოს მუშაობის შესახებ დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით".

აღინიშნა, რომ ამ საწარმოებში სათანადო ყურადღება ეთმობა ახალი სისტემით მუშაობას. მათ წელს საწარმოებში შეიქმნა ეკონომიკური ანალიზისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ლაბორატორიები ან ბიუროები, რომელთა გეგმების შედგენასა და რეალიზაციაში მონაწილეობენ საწარმოთა პასუხისმგებელი მუშაკები, წამყვანი სპეციალისტები, წარმოების ნოვატორები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალი სისტემის პოპულარიზაციისათვის სისტემატურად ეწყობა ლექციები, საუბრები, სემინარები, თეორიული კონფერენციები წარმოების ეკონომიკისა და შრომის საკითხებზე. შეიქმნა ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და წარმოების მოწინავეთა შემოქმედებითი ბრიგადები.

ახალ სისტემაზე საწარმოთა გადასვლის შემდეგ სამრეწველო პროდუქციის რეალიზაცია 1970 წლის პირველ ნახევარში 1969 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაიზარდა: ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში 6 პროცენტით, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში — 7 პროცენტით, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში — 9 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების ზრდამ ამ საწარმოებში შესაბამისად შეადგინა 2,9, 20 პროცენტი.

ამასთან ერთად მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ მთლიანად ვერ იყენებს დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემას, მათს მუშაობაში გამოვლინდა ცალკეული ნაკლოვანებანი.

ხარვეზებია ხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებასა და საწარმოთა რიტმულ მუშაობაში. 1969 წლის თვითეული თვის მიხედვით თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანაში გამოშვებული პროდუქცია შეადგენს 76.8 პროცენტს, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანაში — 72,9 პროცენტს, ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში — 51,4 პროცენტს.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანამ 1969 წელს მიიღო 21 რეკლამაცია, რამაც გამოიწვია 17 ათასი მანეთი ზარალი. ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანამ წუნის შედეგად იზარალა 577 ათასი მანეთი ([illegible] რეკლამაცია), თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელმა ქარხანამ — 16 ათასი მანეთი.

მთელ რიგ ქარხნებში ჯერ კიდევ ხშირია სამუშაოს გაცდენა არასაპატიო მიზეზით, დიდია კადრების დენადობა, მაღალია გამოუყენებელი მოწყობილობისა და დანადგარების პროცენტი, საბრუნავი სახსრების ზენორმატიული ნაშთები და სხვ. ნაკლოვანებებია აგრეთვე წარმოებაში ახალი ტექნიკის, ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებათა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ღონისძიებათა დანერგვის საქმეში.

კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები შ. კულულაშვილი, ა. გარდოშვილი, თ. ტაბაღუა, თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი ა. მახარაშვილი, გორის კონსერვის კომბინატის დირექტორი გ. ხეჟაური, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის საქვემო განყოფილების უფროსი ა. ხაჩიევი და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარის მოადგილემ ნ. შარაშენიძემ.

განხილულ საკითხზე მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

მუდმივი კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

## „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

### რედაქციას უპასუხებს საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტი

# დასვენება დასვენება უნდა იყოს

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელიც აჭარის კურორტებზე არსებულ ნაკლოვანებებს ამხილებდა.

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა რედაქციას შემდეგი აცნობა:

მიმდინარე წლის 28 ივლისს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა გაზეთ „კომუნისტის" 11 ივლისის ნომერში დაბეჭდილი წერილი „დასვენება, დასვენება უნდა იყოს". შემოწმების შედეგად ბიურომ სწორად ცნო გაზეთის კრიტიკული შენიშვნები და დასახა საჭირო ღონისძიებები აჭარის ასს რესპუბლიკის კურორტებზე დამსვენებელთა მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის.

პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ დაავალა აჭარის პროფსაბჭოს, კურორტების მართვის საბჭოს, აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს მიიღონ ყველა საჭირო ზომები „კომუნისტში" დაბეჭდილ წერილში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და დამსვენებელთა სავაჭრო, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო, სამედიცინო და კულტურული მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

გაზეთ „კომუნისტის" კრიტიკული სიგნალების შესახებ ფართოდ იყო ლაპარაკი ქობულეთის რაიონის დასასვენებელი სახლების, სანატორიუმების, სავაჭრო, სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებების ხელმძღვანელი მუშაკების თათბირზე, რომელიც ივლისის მეორე ნახევარში პარტიის ქობულეთის რაიკომმა მოიწვია. თათბირმა დასახა საჭირო ღონისძიებები დამსვენებელთა მომსახურებაში არსებული ნაკლოვანებებისა და გაზეთის კრიტიკული შენიშვნების გამოსწორებისათვის. გაზეთის კრიტიკული გამოსვლისა და საკითხის განხილვის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დამსვენებელთა მომსახურება. წერილში აღნიშნული მრავალი რიგი ნაკლოვანებები გამოსწორებულია.

საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტი ყველა ზომებს იღებს რესპუბლიკის კურორტებზე დასვენების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისა და დამსვენებელთათვის დასვენებისა და მკურნალობის ნორმალური პირობების შექმნისათვის.

## ჩვენი ახალი ფოსტიდან

● ქუთაისი. ტყავფეხსაცმლის კომბინატის ბიბლიოთეკაში ხშირად აწყობენ მკითხველთა კონფერენციებს, თემატურ და მხატვრულ საღამოებს, ლექციებს, შეხვედრებს დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, შრომის ვეტერანებთან.

ამას წინათ ბიბლიოთეკაში მოეწყო თემატური საღამო სამხედრო-პატრიოტულ საკითხებზე. მოხსენებებით გამოვიდნენ თადარიგის გენერალი გ. ყურაშვილი, თადარიგის პოლკოვნიკი კ. სოხაძე და საზოგადოება „ცოდნის" ქუთაისის ორგანიზაციის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის სექციის ხელმძღვანელი ნ. რუსეიშვილი.

კ. ბენძელაძე.

● ორჯონიკიძე. ბორითის სასოფლო ბიბლიოთეკამ საზაფხულო საძოვრებზე მყოფ მეცხოველეებთან მოაწყო თემატური საღამო — „როგორ მივიღოთ მეტი და მაღალხარისხოვანი მეცხოველეობის პროდუქტები". გამოსულმა ამხანაგებმა განსაკუთრებით აღნიშნეს მეცხოველეთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის დადგენილების მიხედვით.

ვ. ტაბატაძე.

● ტყიბული. ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის ტერიტორიაზე ახალი, ნათელი შენობა წამოიმართა. ამ დღეებში იქ მუშათა სასადილო გაიხსნა.

ი. ოზოლაძე.

● ცაგერი. ხელ უფრო მეტ დამსვენებელს იზიდავს ალპანის სამკურნალო აბანო. იგი ერთდროულად 50 კაცს ემსახურება.

წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა აბანოს კეთილმოწყობისათვის.

ი. ნემსიწვერიძე.

## ახლოა სასწავლო წელი, როგორ ემზადებით?

# ვიდრე ზარი დაირეკებოდეს

რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე, რომელსაც სკოლების დირექტორები, გამგეები, მშენებლები ესწრებოდნენ, ყველა ერთხმად აღიარებდა, რომ წელს ყველა პირობა გვაქვს სასკოლო შენობების რემონტის დროულად დამთავრებისათვის.

მას შემდეგ თითქმის თვენახევარმა განვლო. ცხინვალის რაიონში სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადება დასასრულს უახლოვდება. სკოლების დირექტორების, გამგეების მიერ აღმასკომის სხდომაზე ნაკისრი ვალდებულებები წარმატებით ხორცს ისხამს.

...ჩვენს გზატკეცილს მივყვებით. პირველად ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენის 8-წლიანი სკოლის შენობაში შევიხედეთ. ახლად შეკეთებული შენობა დაუსუფთავებიათ, ლამაზად გამოიყურება მერხებგაწყობილი საკლასო ოთახები, კაბინეტები, დერეფნები. ყველგან გამრჯე ხელი იგრძნობა. სკოლის დირექტორმა გ. ხიმშიაშვილმა გვითხრა, რომ სკოლა კარგახანია მზად არის მეცადინეობისათვის: რემონტი დამთავრდა, შემოზიდულია სათბობი, სკოლა პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფილია, საკმაო რაოდენობით აქვთ სასკოლო ინვენტარი...

ასევე შეგვხვდნენ სოფლების ძარწემის, ქურთის 8-წლიანი სკოლები. შორიდანვე შევამჩნიეთ, რომ ამ სკოლებში რემონტი ხარისხიანად ჩაუტარებიათ. გვითხრეს, ქურთისა და ძარწემში გულმოდგინედ მოუწყვიათ სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა. პირველ კლასში ახალმიღებულ ბავშვებს უფროსი კლასების მოსწავლეები შეხვდებიან და კლასებში მიიყვანენ.

ახალი სასწავლო წლისათვის სანიმუშოდ მოემზადნენ სოფლების კეხვის, ძარწემისა და ერედვის საშუალო სკოლებში. აგრეთვე ერედვის საშუალო სკოლაში ჩატარდა რემონტი, შეკეთდა ინვენტარი, შემოზიდეს შეშა, ნახშირი, კეთილმოაწყვეს ეზოები, სპორტმოედნები. მართალია, კეხვისა და ძარწემის საშუალო სკოლებში საკლასო ოთახების სიმცირის გამო ცოტა ვიწროობაა. მაგრამ რაც აქვთ, სანიმუშოდ არის შეკეთებული და მოვლილი. არცევის საშუალო სკოლას და ამ სასოფლო საბჭოს დაწყებით სკოლებს სასწავლო წლისათვის მზადებაში სერიოზული დახმარება გაუწია საბჭოთა მეურნეობის დირექციამ. მეურნეობამ იზრუნა სკოლებისათვის სათბობის გამოტანაზე.

რემონტი ცოტა დაგვიანებით დაიწყეს გრომის საშუალო სკოლაში. აქ ახლად შეიქმნა საბჭოთა მეურნეობა და ამიტომ ვერ მოხერხდა დურგლების, მღებავების, მემონტაჟეების გამონახვა. ახლა მეურნეობის დირექცია დახმარებას უწევს სკოლას, და სრული იმედია, რომ მეცადინეობა ნორმალურ პირობებში დაიწყება.

სკოლების რემონტს ცხინვალის რაიონში ძირითადად აწარმოებს სამხრეთ ოსეთის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო (უფროსი ს. ცხოვრებოვი, მთავარი ინჟინერი კ. გაბულია). უნდა ითქვას, რომ ამ ორგანიზაციამ დიდი სამუშაოები ჩაატარა სკოლებში, წელს განსაკუთრებით იგრძნობა შესრულებული სამუშაოს მაღალი ხარისხი.

მაგრამ თუ ამის შესახებ კმაყოფილებით ვლაპარაკობთ, სამმართველოს მიმართ გვაქვს სერიოზული საყვედურიც — უპირველეს ყოვლისა სოფელ ქსუისის საშუალო სკოლის თაობაზე. აგერ თითქმის ხუთი წელია სამშენებლო-სარემონტო სამმართველო ქსუისში სასკოლო შენობის გაფართოების სამუშაოებს აწარმოებს (ძირითად კორპუსს უნდა მიუშენდეს 16 საკლასო ოთახი). წლები გადის და სამუშაოს დამთავრება არ ჩანს. წელსაც ტემპი, რომლითაც მიშენების სამუშაოები მიმდინარეობს, საკმარისი როდია, რომ ამ სკოლის ოთახებში პირველ სექტემბერს დაიწყოს მეცადინეობა. საჭიროა მთელი ყურადღება გადატანილ იქნას ქსუისის საშუალო სკოლის მიშენების სამუშაოებზე.

არის ნაკლოვანებები სკოლების ინვენტარით მომარაგების საკითხშიც. ზოგ მაღაზიაში არა აქვთ ჩანთები, რვეულები, ფანქრები. ყველა იძახის, შემოვიტანთო, მაგრამ როდის?!

[illegible] სახელმძღვანელოები, შემოტანილი სასკოლო სახელმძღვანელოები მხოლოდ ნახევრად აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოსური და რუსული სახელმძღვანელოების ნაკლებობა. ამ წიგნებს კი ადგილობრივი გამომცემლობა უშვებს, მაგრამ დიდი დაგვიანებით.

სასწავლო წელი ახლოვდება. მალე აწკრიალდება ზარი სკოლებში. გამოვლენილი ნაკლოვანებები სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# რა დააშავეს პატარებმა?

ბევრი რამ კეთდება წელსაც ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად, მაღალ დონეზე დაწყებისათვის, პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები წარმატებით ასრულებენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით ამ დარგში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ვარდისუბნის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მ. გაგუნაშვილი) და შალაურის სახელმწიფო სანერგე მეურნეობამ (დირექტორი გ. სუხიაშვილი). მათ პირველი აგვისტოსათვის დაამთავრეს 8-წლიანი სკოლების შეკეთება და ყოველმხრივ მოამზადეს ახალი სასწავლო წლისათვის. კარგად იმუშავეს სასკოლო შენობების რემონტის დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის შეფებმა — კონდოლის, კურდღელაურის, ფშაველის კოლმეურნეობებმა, საქვეყრობის თელავის განყოფილებამ, „საქმთავარენერგოს" თელავის საექსპლოატაციო უბანმა, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ და სხვ.

მწყობრში დგება ახალი სასკოლო შენობებიც. კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის სახსრებით ამ სოფელში 480 მოსწავლისათვის აშენდა საშუალო სკოლის შენობა. მშენებლობას აწარმოებდა საქართველოს სსრ სოფლმშენის თელავის მოძრავი მექანიზებული კოლონა (უფროსი ა. ობოლაძე), რომელმაც თავიდანვე დამკვრელური ტემპი აიღო და გათვალისწინებულ ვადებში დაამთავრა სამუშაოები. ახლა სკოლა მზად არის და პირველ სექტემბერს კისისხეველი მოსწავლეები იზეიმებენ ახალ სკოლაში მეცადინეობის დაწყებას.

იგივე სამშენებლო ორგანიზაცია სოფელ წინანდალში — საშუალო სკოლას მიაშენებს ახალ კორპუსს 14 საკლასო ოთახით, რომლის დამთავრება ნავარაუდევია დეკემბრის ბოლოსათვის, მაგრამ მშენებლებმა იგი დამკვრელურ უბნად გამოაცხადეს და მისი ერთი ნაწილი — 8 საკლასო ოთახი უკვე გადასცეს საექსპლოატაციოდ.

კარგად იმუშავა თელავის № 4 სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ი. ბედუაშვილი), რომელსაც თელავის 8-წლიანი სკოლის ახალი კორპუსის მშენებლობა 10 საკლასო ოთახით — წელს დაიწყო და წელსვე გადასცა საექსპლოატაციოდ.

მაგრამ ასე როდია ყველგან. გაწეულ დიდ მუშაობასთან ერთად არის ნაკლოვანებებიც. „საკვებმშენტრესტის" წინანდლის № 3 სამშენებლო-სარემონტო სამმართველო (უფროსი უ. ჯავახიშვილი) სოფელ ლაფანყურში აწარმოებს საშუალო სკოლის მშენებლობას. სამწუხაროდ, მშენებლობა კუს ნაბიჯით მიმდინარეობს. მშენებლებს შარშან 68 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა შეესრულებინათ, შეასრულეს კი მხოლოდ 32 ათასი მანეთისა. მშენებლობა გეგმით წელს უნდა დამთავრდეს, რაც, ცხადია, საეჭვოა იმიტომ, რომ მშენებლობა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს.

უარესი მდგომარეობაა სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობაში. თელავის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭო (თავმჯდომარე ა. ქათიბაშვილი) კოლმეურნეობის სახსრებით სოფელ აკურაში აშენებს ბაგა-ბაღის შენობას, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 220 ათას მანეთს შეადგენს. მშენებლობა შარშან დაიწყო და წელს უნდა დამთავრდეს. კოლმეურნეობამ მშენებლობისათვის შარშან 40 ათასი მანეთი გამოჰყო, მაგრამ მშენებლებმა მხოლოდ 6 ათასი მანეთი აითვისეს. ამით „განაწყენებულმა" კოლმეურნეობის გამგეობამ წელს მშენებლობისათვის მარტოოდენ 20 ათასი მანეთი გამოჰყო. ამ თანხით კი ბევრი არაფერი გაკეთდება, მშენებლებსა და დამკვეთს შორის დავაა, ბავშვები და მშობლები კი ამაოდ ელიან ბაგა-ბაღის შენობას.

„საკვებმშენტრესტის" წინანდლის № 3 სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ თავს იდო ყარაჯალის ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობის სახსრებით სოფელ ყარაჯალაში ბაგა-ბაღის აშენება. წელს გეგმით 35 ათასი მანეთის სამუშაოები უნდა ჩაატაროს, მაგრამ მშენებლობას რატომღაც აზოზინებს და 7 თვეში მხოლოდ 5 ათასი მანეთის სამუშაოები შეასრულა.

ქ. თელავსა და სოფელ იყალთოში თელავის № 4 სამშენებლო სამმართველომ ააშენა ბავშვთა ბაგა-ბაღები. მშენებლობა გათვალისწინებულ ვადებში დამთავრდა, მაგრამ იმის გამო, რომ მემონტაჟეებმა სანიტარულ-ტექნიკური კვანძების სამუშაოები გააჭიანურეს, საექსპლოატაციოდ გადაცემა ჯერაც ვერ ხერხდება, გათვალისწინებული ვადები კი დიდი ხანია ამოიწურა. რა დააშავეს პატარებმა?!

სასკოლო და საბავშვო დაწესებულებების მშენებლობა სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. ამ საქმისადმი მეტი მზრუნველობა და პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინონ მშენებლებმა.

არჩ. თვალიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# მსოფლიო დღე

## ერთობლივი გამოკვლევები

ვარშავა, 10 აგვისტო. საქდესის კორესპონდენტი ნ. ქილეზნოვი გვატყობინებს:

პოლონელი მეცნიერები საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კოლეგებთან ერთად შეუდგნენ დაკვირვებებს, რომლებიც დაკავშირებულია „ინტერკოსმოსის" სერიის მესამე თანამგზავრის ფრენასთან. პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ატმოსფეროს ფიზიკის ლაბორატორიაში საქდესის კორესპონდენტს უთხრეს, რომ ერთობლივი გამოკვლევების პროგრამის თანახმად, რომელიც ამას წინათ დაზუსტეს ვროცლავის კონფერენციაზე, პოლონელ სპეციალისტებს, დახვეწალათ დედამიწის მაგნიტურ ველთან და ჩვენი პლანეტის იონოსფეროს იშვიათ მოვლენებთან დაკავშირებული დაკვირვებების ფართო კომპლექსის განხორციელება.

პოლონელი ფიზიკოსები ჰელდიდიხანია აკვირდებიან რადიოტალღების გავრცელებას, ამასთან დაკავშირებით იკვლევენ სხვადასხვა ანომალიას გეომაგნიტურ ველში და მათ გავლენას დედამიწის რადიოკავშირზე. ამ დაკვირვებებისათვის „ინტერკოსმოსის" სერიაში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება ძლიერი ანტენის მშენებლობას. პოლონელი მეცნიერები კარგი შედეგებით ამთავრებენ საერთაშორისო კოსმოსური პროგრამით მუშაობის პირველ წელს.

## ევროპის უშიშროების ინტერესებისათვის

### მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში

**ბერლინი,** 10 აგვისტო. (საქდესი). გერმანიის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმმა გამოაქვეყნა განცხადება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების პარაფირების გამო. ამას იუწყება ბონის სააგენტოს ბონელი კორესპონდენტი.

გერმანიის კომუნისტური პარტიის პრეზიდიუმი მიესალმება ამ ხელშეკრულებას, ნათქვამია განცხადებაში. ხელშეკრულება წინგადადგმული ნაბიჯია საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარების გზაზე და ამით ხელს შეუწყობს მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფას ევროპაში.

ამჟამად შეთანხმებული ხელშეკრულება შეიძლება მობრუნების პუნქტი გახდეს საგარეო პოლიტიკაში, თუ იგი ბოლოს მოუღებს წინანდელ პოლიტიკას, დაძაბულობის შენარჩუნების პოლიტიკას.

ასრულებს რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის ნებას გაუმჯობესდეს საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობა და ურთიერთობა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგმა მხარი უნდა დაუჭიროს სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას უშიშროებისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის საკითხებზე, რომელშიც თანასწორი უფლებებით მონაწილეობას მიიღებდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

**დელი,** 10 აგვისტო. (საქდესი). სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების პარაფირება ინდოეთის საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღებას იპყრობს. გაზეთი „ნეშნლ ჰერალდი" სარედაქციო სტატიაში „პირველი ნაბიჯები ევროპის მშვიდობის დამყარებისათვის" წერს, რომ ახალი ხელშეკრულება ხელს შეუწყობს „საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ურთიერთობის გაუმჯობესებას" და „დაძაბულობის შენელებას აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობაში". გაზეთი აღნიშნავს, რომ მოსკოვის ხელშეკრულება მნიშვნელოვნად აღიდებს „იმის შანსებს, რომ ევროპის ხალხები მშვიდობის პირობებში იცხოვრებენ".

გაზეთი „პეტრიოტი" საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებას თვლის მნიშვნელოვან წვლილად მშვიდობის საქმეში.

**ბონი,** 10 აგვისტო. (საქდესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. შეელმა ფედერალურ პრეზიდენტს გ. ჰაინემანს, შემდეგ კი ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომისიას გააცნო მოსკოვის მოლაპარაკების შედეგები, რომლებიც საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების პარაფირებით დამთავრდა.

ბონში გამოაცხადეს, რომ მოსკოვში, ამ ხელშეკრულების ხელმოსაწერად გაემგზავრება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ვ. ბრანდტი.

### გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილება

**ბონი,** 11 აგვისტო. (საქდესი). დღევანდელ სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ფედერალური კანცლერი ვ. ბრანდტი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელი მოაწეროს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას. აქ გამოაცხადეს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მხრივ ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ კანცლერი ვ. ბრანდტი და საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. შეელი.

□

### ავღანეთი

### მაღალი შეფასება

**ქაბული.** 11 აგვისტო. (საქდესი). ავღანეთის პარლამენტის ზედა პალატის დეპუტატთა ჯგუფმა პალატის თავმჯდომარის აბდულ ჰადი დავის მეთაურობით დაათვალიერა მთელი რიგი სამრეწველო ობიექტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარებით შენდება. სენატორები ეწვიენ ავღანეთის ქიმიური მრეწველობის პირმშოს — ქიმიური სასუქების ქარხნის მშენებლობას ქალაქ მაზარ-შარიფის რაიონში, აგრეთვე გაზის სარეწს დაბა ხოჯა-გუგერდაკში.

როგორც გაზეთი „ისლაჰი" წერს, დელეგაციის წევრებმა კმაყოფილება გამოთქვეს ქარხნის მშენებლობის მსვლელობის გამო და მაღალი შეფასება მისცეს ავღანელი მუშებისა და საბჭოთა სპეციალისტების თავდადებულ შრომას.

### ამერიკის შეერთებული შტატები

## საშიშათო პერსპექტივა

**● სერიოზული პრობლემა ● ქიმიური იარაღის მარაგი ● საშიში ეშელონები ● რასისტული დისკრიმინაციის ლიკვიდაციისათვის**

**ვ**აშინგტონი, 11 აგვისტო. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა კონგრესს გაუგზავნა წერილი შეერთებულ შტატებში ადამიანის გარემოს გაჭუჭყიანების საკითხებზე. პრეზიდენტმა აღიარა, რომ ეს პრობლემა სულ უფრო „სერიოზული და რთული" ხდება, და, რომ ამერიკის ეკონომიკა „სრულ ანგარიშს ვერ უწევს იმას, თუ რა სოციალური ფასი უჯდება გარემოს მოწამვლა". წერილში ხაზგასმულია, რომ, თუ ასეთი მდგომარეობა მომავალშიც დარჩება, ამერიკის შეერთებული შტატები „ეკოლოგიური კატასტროფის პერსპექტივის წინაშე აღმოჩნდება".

ნიქსონის წერილს ახლავს „გარემოს ხარისხის საკითხთა საბჭოს" ყოველწლიური მოხსენება. ეს მოხსენება შეიცავს 300-ზე მეტ გვერდს, მაგრამ მასში აღნიშნული არ არის პრაქტიკული გამოსავალი იმ მდგომარეობიდან, რომელიც შეიქმნა ბუნებრივი სიმდიდრის მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად.

**ნ**იუ-იორკი. 10 აგვისტო. საქდესის სპეციალური კორესპონდენტი გ. შიშკინი გვატყობინებს:

დღეს ანისტონის (ალაბამის შტატი) და ლექსინგტონის (კენტუკის შტატი) სამხედრო ბაზებიდან გავიდა ორი ეშელონი, რომლებსაც გაქლიერებული დაცვა ახლდა. მათი ზუსტი მარშრუტი უმკაცრესი საიდუმლოებითაა მოცული, მაგრამ დანიშნულების პუნქტი ცნობილია — სანი-პოინტი (ჩრდილოეთ კაროლინის შტატი).

ერთი ეშელონის 46 ვაგონი და მეორე ეშელონის 24 ვაგონი დატვირთულია „8-55" ტიპის 12.540 რეაქტიული ჭურვებით, რომელთა მუხტები დატენილია სასიკვდილო „ნერვული გაზით" — სარინით. ეს გაზი ამერიკის არმიაში ცნობილია კოდური სახელწოდებით „გბ".

„ნერვული გაზი" დიდად ტოქსიკურია. ადამიანის ფილტვებში მოხვედრილი 1 გრამი გაზის ერთი მესამიათასედი ნაწილი 5-10 წუთში სიკვდილს იწვევს. რეაქტიული ჭურვები, რომლებიც ახლა სანი-პოინტის რკინიგზით მიაქვთ, შეიცავს 66 ტონა სარინს. ბეტონის კუბოებში ჩამალული გაზიანი ჭურვები სანი-პოინტში მიაქვთ იმისათვის, რომ იქ კარჯაპებზე დატვირთონ და ჩაძირონ ოკეანეში შეერთებული შტატების აღმოსავლეთ სანაპიროდან 282 მილზე.

პენტაგონის განზრახვამ ჩაძიროს ატლანტის ოკეანეში გაზიანი რეაქტიული ჭურვები, ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ფართო პროტესტი გამოიწვია. შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გაზის გადაზიდვის დროს არავითარი გარანტია არ არის იმისა, რომ რაიმე ინციდენტის შედეგად არ მოხდეს სასიკვდილო გაზის გადინება. პენტაგონი ირწმუნება, რომ ასეთი შემთხვევისათვის მიღებულია ღონისძიებანი და პოტენციური საშიშროება მინიმუმამდეა შემცირებული. მაგრამ ეს არავის არ ამშვიდებს. თვით ამერიკელი სამხედრო სპეციალისტების აღიარებით, კარჯაპებში „ოჯრვეროტეის ადგილას გაზის „უსაშიშროდ" შეტანისა და ოკეანეში ჩაძირვის შემთხვევაშიც კი გაზი საბოლოოდ უნდა გაჟონოს „თანდათანობით კონტეინერებიდან" და შეერიოს ზღვის წყალს.

ის ფაქტი, რომ მიუხედავად ყოვლივე ამისა, გაზიანი ეშელონები დღეს სანი-პოინტში გაიგზავნა, მოწმობს, რომ ამერიკის მთავრობა ჯიუტად ადგას თავის გადაწყვეტილებას, რაც საფრთხის უქმნის კაცობრიობას.

**ნ**იუ-იორკი. 11 აგვისტო. საქდესის კორესპონდენტი ე. ბასკაკოვი გვატყობინებს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შტაბ-ბინაში მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიის დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ქვეკომისიის XXIII სესიამ. სესიის მონაწილეთა ყურადღების ცენტრშია ისეთი პრობლემები, როგორიცაა რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაცია, ბრძოლა რასიზმისა და ნაციზმის აღორძინების წინააღმდეგ, ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა.

სხდომის მონაწილენი განიხილავენ აგრეთვე რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო წლის მოწყობის გეგმებს. ეს იქნება კამპანია, რომელიც დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს საერთაშორისო საზოგადოებრიობის ბრძოლაში ადამიანის უფლებათა გათელვის წინააღმდეგ.

ქვეკომისიის განსახილველად წარდგენილია გამოკვლევა პოლიტიკურ, ეკონომიურ, სოციალურ და კულტურულ დარგებში რასობრივი დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის დავალებით მოამზადა სპეციალურმა მომხსენებელმა ე. სანტა კრუსმა (ჩილე).

ქვეკომისიის რეკომენდაციებს დღის წესრიგში შეტანილ საკითხებზე წარუდგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიას, რომლის მორიგი სესია გაიმართება 1971 წლის გაზაფხულზე.

**ვ**აშინგტონი, 11 აგვისტო. (საქდესი). ამერიკელმა სენატორმა სტივენ იანგმა მოუწოდა კონგრესს გამოარკვიოს საკითხი, თუ რა მომწამვლელი გაზები ინახება პენტაგონის არსენალებში.

სენატორ იანგის გამოსვლა დაემთხვა ნერვულ-პარალიზურგაზიანი კონტეინერების გაგზავნას ატლანტის ოკეანეში ჩასაძირავად.

სენატორმა ხაზი გაუსვა, რომ ნერვულ-პარალიზური გაზის მარაგი, რომლის ჩაძირვას აპირებენ, „ნერვული გაზის მთელი იმ მარაგის მხოლოდ ერთი მეასედია, რაც პენტაგონმა შექმნა ამერიკელი გადასახადის გადამხდელთა ფულით". მან დაგმო პენტაგონი ამდენი საშიში ტოქსიკური გაზის დაგროვებისათვის „იმ მიზნით, რომ მისი გამოყენება საჭირო გახდება აგანყებათა ჩასახშობად შიგ ქვეყანაში და შესაძლო ომში".

სენატორმა იანგმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „შეერთებული შტატები ერთად ერთი დიდი სახელმწიფოა, რომელიც არ შეუერთდა ჟენევის კონვენციას ომის წარმოების ქიმიურ და ბიოლოგიურ საშუალებათა გამოყენების აკრძალვის შესახებ".

## ტელეტაიპის ლენტიდან

### ფაქტები

#### გადაარჩინეს საბჭოთა მეზღვაურებმა

□ **დაკარი,** 11 აგვისტო. (საქდესი). კალინინგრადის თევზსაჭერი ნავსადგურის ტრალერი „ლასტა" 120 მილზე იყო დაკარიდან, როცა საბჭოთა მეზღვაურებმა მიიღეს სენეგალის თევზსაჭერი გემის „იაკი კლოდის" უბედურების სიგნალები. შტორმის დროს გემი დაზიანდა, წყალი შევიდა სამანქანო განყოფილებაში და ტრალერმა მართვა დაკარგა. ამასთან მას რაციაც დაუზიანდა.

საბჭოთა მეზღვაურებმა რომ მტკიცედ არ ემოქმედათ, სენეგალის ტრალერი და ეკიპაჟი დაიღუპებოდნენ. აბობოქრებული ოკეანის ძნელ პირობებში საბჭოთა მეზღვაურებმა „იაკი კლოდიდან" გამოიყვანეს ეკიპაჟის ყველა წევრი კაპიტანის მეთაურობით. შემდეგ ნახევრად ჩაძირული გემი ბუქსირზე აიყვანეს და დაკარის ნავსადგურში მიიყვანეს.

სენეგალელმა მეთევზეებმა დიდი მადლობა გადაუხადეს საბჭოთა მეზღვაურებს დახმარებისათვის.

#### თათბირი ნასერთან

□ **კაირო,** 11 აგვისტო. (საქდესი). არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა გამალ აბდელ ნასერმა გამართა თათბირი, რომელზეც დაწვრილებით განიხილეს ახლო აღმოსავლეთის უკანასკნელი მოვლენები და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მომავალი ღონისძიებანი.

თათბირზე ინსტრუქციები მიეცათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლობის მეთაურს მუჰამედ ჰასან ეზ-ზაიათს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ. ტანის სპეციალურ წარმომადგენელთან გუნარ იარინგთან მომავალი კონტაქტების თაობაზე, აგრეთვე არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წარმომადგენელს ვაშინგტონში აშრაფ გორბალს.

#### ცვლილებანი ბოლივიის მთავრობაში

□ **ლა-პასი,** 11 აგვისტო. (საქდესი). ექვსი დღის კრიზისის შემდეგ შეიქმნა ბოლივიის ახალი მთავრობა. კაბინეტის ყველა წევრი, გარდა ინფორმაციის მინისტრის ალბერტო ბაილეისა, თავიანთ პოსტებზე დარჩა. ინფორმაციის ახალ მინისტრად დაინიშნა კარლოს კარასკო სოტო.

რამდენიმე დღის წინათ მთავრობამ ბოლივიის პრეზიდენტს ოვანდო კანდიას გადასცა თხოვნა გადადგომის შესახებ. მინისტრებმა თავიანთი ეს ნაბიჯი იმით დაასაბუთეს, რომ სურთ თავისუფლება მიანიჭონ პრეზიდენტს კაბინეტის რეორგანიზაციის საკითხში. როგორც მაშინ განაცხადეს, რეორგანიზაციის ძირითადი მიზანია თავიდან მოიშორონ ისინი, ვინც სახელმწიფო გადატრიალებისათვის აქეზებს.

#### სტიქიური უბედურება ავსტრიაში

□ **ვენა,** 11 აგვისტო. (საქდესი). მშრალი ცხელი ამინდის ხანგრძლივი პერიოდი ავსტრიაში მოულოდნელად შეცვალა კოკისპირულმა წვიმებმა და ძლიერმა ქარმა. ამ ბოლო დღეებში დიდი რაოდენობის ნალექებმა ქვეყნის მთიან რაიონებში ბევრი მეწყერი და წყალდიდობა გამოიწვია.

მეწყერმა მიწისავან პირისა ალგავა ზალცბურგის პროვინციის მაღალმთიანი სოფლის ნიდერნზილის ნაწილი. სამი კაცი დაიღუპა, ათობით — დაშავდა.

ადიდებულმა მდინარეებმა შეაჩერა ავტოტრანსპორტის მოძრაობა შტირიის, ზალცბურგის, ფორარლბერგის, კარინტიისა და ტიროლის ბევრ გზაზე.

## გდრ ვ. ულბრიხტის წერილი

ბერლინი, 10 აგვისტო. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვალტერ ულბრიხტმა წერილი გაუგზავნა მიემართ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმწიფოებსა და ნატოს წევრ-სახელმწიფოებს, იუწყება ადნ-ის სააგენტო.

ხელმძღვანელობს რა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის განვითარების განზრახვით, რაც შეესაბამება ყველა მხარის ინტერესებს და ხელს უწყობს მშვიდობიან საერთაშორისო თანამშრომლობას, ნათქვამია ადნის ცნობაში, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე წერილში ყურადღებას აპყრობს ევროპის პოლიტიკაში ამ ბოლო დროს შექმნილ პრინციპულად ახალ სიტუაციას. ეს სიტუაცია იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებსაც ამა თუ იმ მოსაზრებით ჯერ კიდევ ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა არ დაუმყარებიათ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, დაბეჯითებით მოითხოვს გადასინჯონ თავისი პოლიტიკა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ და ნორმალური დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარონ მასთან. ეს მნიშვნელოვნად შეამსუბუქებდა აგრეთვე სხვა დარგებში ორივე მხარისათვის ხელსაყრელი ურთიერთობის დამყარებასა და გაფართოებას.

წერილი მოუწოდებს ხელი შეუწყონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიღებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რაც შეესაბამება რეალურ მდგომარეობასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს.

## საპროგრამო განცხადება

### იტალია

**რომი,** 10 აგვისტო. (საქდესი). იტალიის ახალი კაბინეტის მეთაურმა, ქრისტიან-დემოკრატმა ე. კოლომბომ დღეს პარლამენტის ორივე პალატის წინაშე გააკეთა საპროგრამო განცხადება.

დღევანდელი მთავრობა, თქვა ე. კოლომბომ, „იქმნება ახალი კრიზისის შედეგად, რომელიც შესაძლოა „მემარცხენე ცენტრის" კოალიციის ერთ-ერთი ყველაზე რთული კრიზისი იყო. იგი შეიქმნა იმ მომენტში, როცა საერთაშორისო ასპარეზზე შეთავაზ ჩნდა ახალმა ტენდენციებმა: ახლო აღმოსავლეთში გაჩნდა მშვიდობის დამყარების კონკრეტული იმედი, ხოლო სსრ კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა „ურთიერთ გაგების სულისკვეთებით უდგებიან პრობლემებს, რომლებიც ეხება ევროპისა და მთელი მსოფლიოს ინტერესებს".

ჩვენს მთავრობას კვლავაც განზრახული აქვს ხელი შეუწყოს მშვიდობის პერსპექტივების განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში, ხაზგასმით აღნიშნა ე. კოლომბომ. რაც შეეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ ვითარებას, ე. კოლომბომ, კერძოდ, განაცხადა: „ახალი მთავრობა დარწმუნებულია, რომ კრიზისის გადაწყვეტის გზა პოლიტიკური მოლაპარაკებაა. ამიტომ იგი ეცდება, რომ ყოველი ღონისძიებით დაუჭიროს მხარს ყველა ცდას, რომლის მიზანი იქნება მშვიდობის აღდგენა ინდოჩინეთის ნახევარკუნძულზე".

იტალიის მთავრობის მეთაურმა დადებითად შეაფასა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების ბუდაპეშტის განცხადება და აღიარა, რომ იგი „ქმნის შესაძლებლობას დაიწყოს დიალოგი, რომელიც შესაძლოა კონსტრუქციული გახდეს", მოიწყოს სრულიად ევროპის თათბირი უშიშროების საკითხებზე.

ე. კოლომბომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცება და მისთვის საყოველთაო ხასიათის მინიჭება შეესაბამება საერთო ინტერესებს, მათ შორის იტალიის ინტერესებსაც, როგორც ეს იტალიაა". ამასთან მან დაადასტურა, რომ იტალიის მთავრობა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულების, შეერთებულ შტატებთან „თანამშრომლობისა და მეგობრობის განსაკუთრებული ურთიერთობის", „ევროპის გაერთიანების" მიზნების ერთგულია.

საპროგრამო განცხადების შინაგან პოლიტიკურ ნაწილში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე შეეხო იტალიის წინაშე დასმულ ეკონომიურ და ფინანსურ პრობლემებს. მან თქვა, ეკონომიური მდგომარეობა „იდილიური", მაგრამ კატასტროფული არ არის. მთავრობა არ აპირებს იტალიური ლირის დევალვაციას, განაცხადა მან. ასეთი ღონისძიება „სერიოზული ეკონომიური შეცდომა იქნებოდა", თქვა ე. კოლომბომ (ამ ბოლო თვეებში ფართოდ გავრცელდა ხმები, რომ მოსალოდნელია დევალვაცია).

□

### ლაოსი

## პატრიოტები უტევენ

**ლ**აოსის პატრიოტულმა ძალებმა ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში წარმატებით მოაწყეს სამხედრო ოპერაციები. უცხოეთის სააგენტოების ცნობებით, პატრიოტებმა ქვეყნის ცენტრში და ლაოსში მდინარე მეკონგზე დაიკავეს პოზიცია.

სურათზე: ლაოსელი პატრიოტების ერთ-ერთი ქვეგანაყოფი ქვედა ლაოსში.

ფოტო ვია-საქდესისა.

## მდგომარეობა კამბოჯაში

ნიუ-იორკი, 10 აგვისტო. (საქდესი). კამბოჯის პატრიოტული ძალები აქტიურებენ შეიარაღებულ ბრძოლას საიგონის მარიონეტული ჯარებისა და პნომპენის რეჟიმის არმიის წინააღმდეგ. როგორც გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" პნომპენელი კორესპონდენტის ცნობებიდან ჩანს, პატრიოტთა რაზმებმა შეუტიეს კრალანს, საანგსა და ორ სხვა ქალაქს, რომლებიც კამბოჯის დედაქალაქის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარეობენ. ამჟამად ბრძოლები მიმდინარეობს პნომპენის ჩრდილოეთით შვიდიოდე კილომეტრზე, სადაც წუხელ გაისმოდა საარტილერიო ნაღმების აფეთქების ხმა.

იმოწმებს რა პნომპენის რეჟიმის არმიის უმაღლესი სარდლობის განცხადება, ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჯონ უილერი პნომპენიდან გვატყობინებს, რომ ეროვნული განთავისუფლების ძალებმა განაახლეს საომარი ოპერაციები კირირომის ზეგანზე. მიღებულია ცნობები აგრეთვე იმის შესახებ, რომ ბრძოლები გრძელდება ქალაქებში სკუნსა და ტოტუნგში, რომლებიც მდებარეობენ პნომპენისა და დიდი ქალაქის კომპონგტიამის შემაკავშირებელ გზატკეცილზე. ამ ქალაქს მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდგომარეობა უკავია მდინარე მეკონგის ნაპირზე. გუშინ პატრიოტებმა კომპონგტიამს ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს. პნომპენის სამხრეთით მათ შეუტიეს მოწინააღმდეგის პოზიციებს ქალაქ ანგტასის მახლობლად, რომელიც გზატკეცილის გზაჯვარედინზე მდებარეობს.

პარიზი, 10 აგვისტო, (საქდესი). საიგონის მარიონეტული ჯარებისა და პნომპენის არმიის ქვეგანაყოფების საბრძოლო მოქმედებებს აქტიურად უჭერს მხარს ამერიკის ავიაცია. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი კამბოჯის ქალაქ კომპონგსპეუდან იუწყება, რომ ამერიკის „ფანტომის" ტიპის რეაქტიული თვითმფრინავები ბომბავენ ეროვნული განთავისუფლების ძალების პოზიციებს ქვეყნის მთიან სამხრეთ-დასავლეთ რაიონში — კირირომს. ამერიკის შეერთებული შტატების ტაქტიკური ავიაციის ამ მძლავრ თვითმფრინავებს, რომლებმაც ნაპალმი ჩამოყარეს აღნიშნულ რაიონში, მუდმივი რადიოკავშირი აქვთ სახმელეთო ჯარებთან. „ჩვენს ჯარებს ამერიკელები ჰაერიდან უწევენ დახმარებას ყოველთვის, როცა ეს საჭიროა", — განაცხადა პნომპენის არმიის კირირომის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილემ პოლკოვნიკმა სარ ხორმა. მან დასძინა, რომ არ არის გამორიცხული კირირომის რაიონზე „ბ-52" ტიპის მძიმე სტრატეგიული ბომბდამშენების თავდასხმის შესაძლებლობა.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობიდან ჩანს, პნომპენის ხელისუფალნი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კირირომის მთიან რაიონს, ვინაიდან პატრიოტულ ძალებს, თუ ეს რაიონი შეინარჩუნეს, შეეძლებათ კონტროლი გაუწიონ № 4 გზატკეცილს, რომელიც კამბოჯის დედაქალაქს აკავშირებს კომპონგსომთან — ქვეყნის ერთადერთ ღრმაწყლიან საზღვაო ნავსადგურთან. კამბოჯის ხელისუფალნი № 4 გზატკეცილს „მთავარ არტერიას უწოდებენ", რომლითაც ხორციელდება პნომპენის მომარაგება საწვავითა და სურსათით.

## შრომა და კაპიტალი

## თავიანთი უფლებების დასაცავად

### „მიწა — ხალხს"

დელი, 10 აგვისტო. საქდესის კორესპონდენტი ვ. მატიაში გვატყობინებს:

„მიწა ხალხს უნდა ეკუთვნოდეს!". ამ ლოზუნგით მთელ ინდოეთში იწყობა ინდოელ მშრომელთა მძლავრი გამოსვლები მიწისათვის, მიწათმფლობელების უსამართლო მემამულური სისტემის წინააღმდეგ, აგრარულ გარდაქმნათა დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის. კომუნისტების მიერ წამოყენებულ ლოზუნგს „მიწა — გლეხებს" მხარს უჭერს ბევრი პროგრესული დემოკრატიული ორგანიზაცია და მიმდინარეობა.

ასი ათასზე მეტმა კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა მიწისათვის ლაშქრობებში, აცნობა საქდესის კორესპონდენტს ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა რაჯეშვარ რაომ. მუშები, სტუდენტთა, ახალგაზრდობისა და ქალთა ორგანიზაციები მხარს უჭერენ სოფლის ღარიბთა მოძრაობას. ჩვენი უპირველესი მოვალეობა ის არის, რომ ბოლო მოვუღოთ ინდოეთის სამთავროებში ყოფილ ერთ მუჭა მმართველთა, მემამულე ზამინდართა, ჯაგირდართა და მონოპოლისტთა ბატონობას, რომლებმაც უკანონოდ მიიტაცეს საუკეთესო მიწები. იმედი გვაქვს, რომ მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათის ეს მოძრაობა განამტკიცებს მთელი მემარცხენე და დემოკრატიული ძალების ერთობას ნამდვილად რადიკალური აგრარული გარდაქმნებისათვის ბრძოლაში.

### მოითხოვენ პირობების გაუმჯობესებას

**ფართოვდება** მშენებელთა გაფიცვა კანადის კვებეკის პროვინციაში. ახლა გაფიცულია 40 ათასი კაცი. კვებეკის მთავრობამ, რომელიც ცდილობს გატეხოს მუშათა ნებისყოფა და ჩაახშოს გაფიცვა, პროვინციული პარლამენტის საგანგებო სესიაზე დასამტკიცებლად წარადგინა მუშათა საწინააღმდეგო საგანგებო კანონპროექტი. კანონპროექტი მოითხოვს მშენებლებისაგან დაუყონებლივ შეწყვიტონ გაფიცვა და მისი დარღვევისათვის გათვალისწინებული ფულადი ჯარიმა და პატიმრობა. კანონპროექტი ერთი თვის ვადას მეწარმეებთან მუშების მოლაპარაკებისათვის, ხოლო თუ ვერ შეთანხმდებიან — ხელისუფალთა მიერ შრომითი დავის იძულებით გადაწყვეტას.

**8.000-ზე მეტმა** ნასკმა მუშამ, რომლებიც დასაქმებული არიან სანსებასტიანის ხე-ტყის დამმუშავებელ მრეწველობაში, გაფიცვა გამოაცხადა. ისინი იბრძვიან ხელფასის მომატებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის.

**გაფიცვას** თავიანთი უფლებების დასაცავად განაგრძობენ აგრეთვე ესპანეთის ასტურიის პროვინციის მაღაროელები.

**სააქციონერო** ფირმამ „პალიკნკტრინის" ადმინისტრაციამ ინგლისის ქალაქ სენტ-ჰელენსის სამრეწველო მინის ქარხნის 300 მუშას გადასცა უწყება სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. დათხოვნის მიზეზი იყო ის, რომ მუშებმა უარი თქვეს გაფიცვის შეწყვეტაზე.

სამი დღის წინათ ანალოგიური უწყება მიიღო კიდევ 115 გაფიცულმა.

გაფიცვის ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ დათხოვნები ვერ გატეხს გაფიცულთა ნებისყოფას, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ განაგრძონ ბრძოლა მათი პროფკავშირის ცნობისათვის. (საქდესი).

### თურქეთი

## კრედიტორთა მოთხოვნით

**სტამბოლი,** 11 აგვისტო. საქდესის კორესპონდენტი ი. კოლესოვი გვატყობინებს:

თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილება თურქული ლირის 66,6 პროცენტით დევალვაციის შესახებ, რომელიც განმარტებული იყო „თურქეთის ექსპორტის განვითარების მოთხოვნებით", — თურქეთის პრესის მთავარი თემაა. ცნობებისა და კომენტარების საერთო კილო მოწმობს გულისწყრომასა და შეშფოთებას. მოსალოდნელია, რომ დევალვაცია გამოიწვევს ფასების ახალ მომატებას, რომლებიც ისედაც სწრაფად იზრდება.

თურქეთის პრესაში დაიბეჭდა ცნობები, რომ საერთო ბაზრის წევრმა ქვეყნებმა, რომლის ასოცირებული წევრიცაა თურქეთი, არაერთგზის განაცხადეს, რომ საჭიროა თურქული ლირის დევალვაცია. წინა თვეში, როცა „თურქეთისათვის დახმარების" საერთაშორისო კონსორციუმმა გამოაცხადა ადრე გათვალისწინებული კრედიტების მნიშვნელოვანი შემცირება, სტამბოლის გაზეთი „ჯუმჰურიეთი", წერდა, რომ ამ ნაბიჯის „ძირითადი მიზეზი ის არის, რომ თურქეთის მთავრობას არ სურს განახორციელოს ლირის დევალვაცია".

თურქეთის მთავრობის ახლანდელი გადაწყვეტილება არსებითად იმის შედეგია, რომ იგი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო ევროპის გაერთიანების ექსპერტების, საერთაშორისო კონსორციუმის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის უხეში ზეწოლის წინაშე.

როგორც ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, შემთხვევითი როდია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და ევროპის სავალუტო შეთანხმებამ უკვე გადაწყვიტეს თურქეთს მისცენ „მოკლევადიანი კრედიტი დაახლოებით 1 მილიარდი დოლარის ოდენობით".

### ურუგვაი

## საგანგებო რწმუნებულებანი

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. (საქდესი). ურუგვაის პარლამენტმა რესპუბლიკის პრეზიდენტს ხორხე პაჩეკო არეკოს მიანიჭა საგანგებო რწმუნებულებანი 20 დღის ვადით. პრეზიდენტის თხოვნით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს.

როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტო მონტევიდეოდან იუწყება, ამ გადაწყვეტილების შედეგად ქვეყანაში ფაქტიურად გაუქმდა ყველა კონსტიტუციური გარანტია — პოლიციას შეუძლია აწარმოოს დაპატიმრება თუ ჩხრეკა თავისი მოქმედების განუმარტებლად.

ეს ღონისძიება განხორციელდა იმ ცნობის შემდეგ, რომ მოკლეს ამერიკის ურუგვაის საელჩოს თანამშრომელი დანიელ მიტრიონე. რამდენიმე დღის წინათ იგი გაიტაცა უცნობ პირთა ჯგუფმა, რომლებმაც მოითხოვეს, რომ ხელისუფლებს ამერიკელი თანამშრომლის განთავისუფლების ნაცვლად სატყრობილეებიდან გამოეშვათ პოლიტიკური პატიმრები. ხელისუფლებმა უარი თქვეს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

„კომუნისტი"
№-4 გვერდი. ოთხშაბათი, 12 აგვისტო, 1970 წ.

# საქართველოს მთა-ბარში

## ქუთაისიდან — 50 ქვეყანაში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოები ცხრაასამდე სხვადასხვა სახის პროდუქციას უშვებენ. ქუთაისური მარკის ბევრი ნაწარმი ახლა ჩვენი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც იგზავნება და ცნობილია მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნიდან ავტომობილის კვანძები და დეტალები იგზავნება მსოფლიოს 35 ქვეყანაში. ელექტრომექანიკური ქარხნიდან მიმდინარე წელს წყალსატუმბავები, სასახტო ელმავლები და სათადარიგო ნაწილები გაიგზავნა კუბაში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და იემენის არაბთა რესპუბლიკაში. ქარხნის საექსპორტო პროდუქციას შეადგენს ელექტრომძრავები და სასახტო ელექტროლამპრები, რომელთა სერიული წარმოება ამ უკანასკნელად ათვისეს.

ლითოფონის ქარხანამ შაჰიანი გაგზავნა ირანში, ხოლო იმულსიური საღებავები — პაკისტანში. „ქუთბარიტის" მაღაროთა სამმართველომ ათასობით ტონა ფლოტირებული ბარიტი გაგზავნა ავღანეთში. საგრენაჟო ქარხნიდან გრენაჟის ნარჩენი — პერსე-პარკი იგზავნება შვეიცარიაში.

## მეტალურგები — მთაში

ჭიათურა. (საკ. კორ.). მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ჭიათურის ქალაქკომთან არსებული ტურისტული კლუბის დახმარებით ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს და ცენტრალური დამყვანი ფაბრიკის ახალგაზრდებმა მოაწყეს ოთხდღიანი ტურისტული, კომბინირებული ლაშქრობა, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს. ლაშქრობის მარშრუტი ასეთი იყო: ჭიათურა-შაორი-ნიკორწმინდა-სორი-ონი-შოვი-მამისონის უღელტეხილი-ჭიათურა.

ტურისტმა ინჟინრებმა ნ. დევიძემ, ო. მაჭარაშვილმა, სტუდენტებმა მ. შეყლაშვილმა და ე. ცერცვაძემ ცხრა მაღალმთიან სოფელში წაიკითხეს მოხსენებები თემებზე — „რევოლუციამდელი საქართველო", „საბჭოთა საქართველო", „ჭიათურა გუშინ და დღეს" და სხვ. მოლაშქრეებმა ბორეულის, ჭვიშორის და ჭვარისის საკოლმეურნეო ფერმების წითელ კუთხეებში მოაწყეს მხატვრული ლიტერატურისა და ახალი ჟურნალ-გაზეთების გამოფენები; კურორტ შოვის დამსვენებლებისათვის გამართეს კონცერტი, წაიკითხეს ლექციები.

მაღაროელი ალპინისტების გ. სამხარაძის, ზ. გველესიანის და თ. მაისურაძის დახმარებით ტურისტთა ჯგუფი ავიდა შოვის მახლობლად ბურჯულის მწვერვალზე, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 3.800 მეტრია, და იქ წითელი დროშაააფრიალა.

## მშრომელთა სუფრას ახალი თევზი

თერჯოლა. (საკ. კორ.). კარგი თაოსნობა გამოიჩინა თერჯოლის საკოლმეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივმა. როცა სოფელ იწერის ტერიტორიაზე მდინარე ყვირილას პირას ათი ჰექტარ ფართობზე მოაწყო თევზსაშენი სატბორე. მას ყოველწლიურად შეუძლია აწარმოოს 150 ცენტნერზე მეტი ახალი თევზი. სატბორეს კოლექტივმა მშრომელთა სუფრას უკვე მისცა 400 ცენტნერზე მეტი ახალი თევზი.

ახლო მომავალში სატბორეს შეემატება ხუთ ჰექტარამდე დაჭაობებული ფართობი, რითაც გაიზრდება ახალი თევზის წარმოება.

## ომგადახდილებს — ავტომანქანები

საჩხერე. (საკ. კორ.). რაიონში ბევრია ომის ინვალიდი. ისინი სათანადო პენსიებს იღებენ. ზოგიერთს კი სახელმწიფო უსასყიდლოდ აძლევს მსუბუქ ავტომანქანებს. ათეულობით საჩხერელმა მიიღო ავტომანქანა.

მარტო ახლახან სხვიტორელმა დ. ომიაძემ, საირხელმა მ. მისხმა და მერჯეველმა ი. კაპანაძემ უსასყიდლოდ მიიღეს მსუბუქი ავტომანქანები — „ზაპოროჟეცი".

## არდავიწყება მგოსნისა...

### ვაჟაობა ჩარგალში

ბუნებამ გულდაგულად მოემზადა ზეიმისათვის. წვიმამ გადაიღო, ღრუბლები სადღაც მთებს იქით გაიკრიფნენ, ჩარგლის თავზე ლურჯი, კამკამა ცა გადაიშალა, კვლავ აჭიკჭიკდნენ ფრინველები. თითქოს ყოველ სულიერსა და უსულოს უხაროდა არდავიწყება დიდი მგოსნისა, ბუნების საოცარი მესაიდუმლისა, რომელსაც ყოველწლიურად აგვისტოს პირველ შაბათს უხდიან მოსაგონარ დღეს — ვაჟაობას.

ბევრი ხალხი მოვიდა ამ დღეს ვაჟას ქოხთან ჩარგალში, რათა ერთხელ კიდევ ქედი მოეხადათ მგოსნის ხსოვნის წინაშე, ერთხელ კიდევ გამოეხატათ თავიანთი დიდი სიყვარული პოეზიის არწივისადმი, რომელმაც მთელ მსოფლიოში გაიტანა ქართველი კაცის საოცარი ვაჟკაცობისა და ქართული ბუნების შესანიშნავი სილამაზის წარუშლელი პოეზია. აქ იყვნენ ქართველი პოეტები, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი ი. ნონეშვილი, ჟურნალ „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორი რ. მარგიანი, ალ. გომიაშვილი, ლ. სულაბერიძე, ჯ. ნიქაბაძე, დუშეთის რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, სტუმრები დედაქალაქიდან, მეზობელი რაიონებიდან.

ვაჟა ხომ ყველა ხალხისა და ყველა დროის დიდი მგოსანია, მისი სახელი ელვარებს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მის პატივსაცემად ჩარგალში მოვიდნენ უნგრელი მწერლები მაგდა ვუტაი და დიულა ურბანი, კარელია-ფინეთიდან ოლეგ მაშინი.

დღის 2 საათზე დუშეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. მწითურმა ვაჟას ხსოვნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნილად გამოაცხადა. სიტყვები წარმოთქვეს და საკუთარი ლექსები წაიკითხეს ა. გომიაშვილმა, რ. მარგიანმა, ლ. სულაბერიძემ, ი. ნონეშვილმა, მ. ვუტაიმ, დ. ურბანმა, ო. მაშინმა.

ინტერესით მოისმინეს ხალხურ მთქმელებს — ახმეტელ ნ. გორგილაშვილს და კანატიელ ნ. ზულალაურს, აგრეთვე ჩარგლელ გ. მარგალაშვილს, მოსწავლე ს. ჩოხელაშვილს და სოხუმის პირველი საშუალო სკოლის მეორეკლასელ ნინო ვახანიას, პედაგოგებს მ ნაცვლურს და ი. ქართველიშვილს. მიტინგზე იყო ვაჟას შვილი ვახტანგ რაზიკაშვილი. მგოსნის შვილიშვილმა ალექსი რაზიკაშვილმა და ზაზანას შვილმა პავლე რაზიკაშვილმა წაიკითხეს სახელოვანი წინაპრისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

მიტინგი დამთავრდა. დაიწყო კონცერტი. დიდხანს გაგრძელდა სახალხო ზეიმი არაგვის ხეობაში.

ა. თომაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## ზაფხული-ლალი, პიონერული ზაფხული

საჩხერის ახლოს, კურორტ კვერეთში გახსნილია პიონერთა ბანაკი, სადაც ზაფხულის არდადეგებს ატარებენ საქართველოს მშენებელთა და საშენ მასალათა საწარმოების მუშაკთა შვილები. ამჟამად აქ 120 ბავშვი ისვენებს. ისინი საინტერესო ექსკურსიებს აწყობენ მდინარე ჩიხურას თვალწარმტაც ხეობაში, ატარებენ სპორტულ შეჯიბრებებს, მეცადინეობენ მხატვრული თვითმოქმედების წრეებში. ზემო სურათზე, რომელიც საქდესის კორესპონდენტმა ა. მაჭავარიანმა გადაიღო, თქვენ ხედავთ პიონერთა ბანაკ „ჩიხურას" ერთ-ერთ კუთხეს კვერეთში; „კომუნისტის" ფოტოკორესპონდენტის შ. ჩხეტიანის ქვემო სურათზე კი მდინარე ლიახვის თვალწარმტაცი ხეობაა აღბეჭდილი. ამ ადგილებში რამდენიმე პიონერთა ბანაკია მოწყობილი. აი ერთ-ერთი მათგანის პიონერები სალაშქროდ მიდიან მშობლიური მხარის შესასწავლად.

კარგად დაისვენებენ პიონერები ზაფხულის განმავლობაში თავიანთ ბანაკებში!



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთ არის

გვესაუბრება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, რესპუბლიკის მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმი ს. ვ. ცომაია.

რესპუბლიკის მედიკებმა სხვადასხვა ინფექციასთან ბრძოლის დიდი გამოცდილება შეიძინეს, წარსულს ჩაბარდა შავი ჭირის, ყვავილისა და სხვა საშიში დაავადებათა ეპიდემიები. მიუხედავად ამისა, ცალკეული ინფექციური დაავადებანი და უწინარეს ყოვლისა კუჭ-ნაწლავის ინფექციები ჯერჯერობით მთლიანად არ არის აღმოფხვრილი. ისინი განსაკუთრებით მწვავედ იჩენენ ხოლმე თავს ზაფხულში, თანაც ისეთ ცხელ ზაფხულში, როგორიც წელს ჩვენს რესპუბლიკაში დაიჭირა.

ასეულ ათასობით დამსვენებელი ჩამოვიდა შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს კურორტებზე. ხალხის დიდმა თავმოყრამ, სიცხემ შექმნა ხელშემწყობი პირობები კუჭ-ნაწლავის დაავადებათა გავრცელებისათვის.

ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ სამსახურს, მოითხოვს სანიტარული ექიმების, ინფექციონისტების და ჰიგიენისტების სიფხიზლეს. მაგრამ ექიმები მხოლოდ მაშინ მიაღწევენ სასურველ შედეგებს, თუ ყოველ ჩვენგანს ყოველთვის ემახსოვრება, რომ საჭიროა პირადი ჰიგიენის წესებისა და სანიტარული ნორმების დაცვა.

ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები სხვისთვის საშიში ხდებიან მხოლოდ მაშინ, როცა ავადმყოფის ორგანიზმიდან მოხვდებიან წყალში, ნიადაგში, რძესა და რძის პროდუქტებში, ბოსტნეულსა და ხილზე, საოჯახო საგნებზე. ეს ყოველი ჩვენგანისაგან მოითხოვს ელემენტარულ სიფრთხილეს.

უწინარეს ყოვლისა მინდა მოვაგონოთ საყოველთაოდ ცნობილი ჭეშმარიტება: ჭამის წინ დაიბანეთ ხელი, ამასთან აუცილებლად საპნით. კუჭ-ნაწლავის დაავადებათა გამომწვევი ბაქტერიები ორგანიზმში იჭრებიან მხოლოდ მაშინ როცა არ ვიცავთ პირადი ჰიგიენის წესებს, დიზენტერიას შემთხვევით როდი უწოდებენ ჭუჭყიანი ხელის დაავადებას.

უხარისხო წყალში ბევრია ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერია, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ მოზრდილების და განსაკუთრებით ბავშვების კუჭ-ნაწლავის დაავადებანი.

ამიტომ იქ, სადაც არ არის ცენტრალიზებული წყალმომარაგება, მხოლოდ ადუღებული წყალი უნდა დავლიოთ, რადგან ადუღების შედეგად იხოცება ყველა ბაქტერია. აქვე უნდა ითქვას, რომ ტექნიკური წყალსადენების, ღია წყალსაცავების, მდინარეებისა და არხების წყალი საკმაოდ საშიშია, ამიტომ კატეგორიულად აკრძალულია ამ წყალში ბავშვებისა და მოზრდილების ბანაობა, რომ აღარა ვთქვათ რა იმაზე, რომ აუდუღებლად მისი არც დალევა შეიძლება და არც საჭმელში მოხმარება. ასეთ წყალში სარეცხის გარეცხვაც კი არ ვარგა.

კუჭ-ნაწლავის ინფექციების გამომწვევი მეტი წილი ბაქტერიების გავრცელებისათვის ჩინებული გარემოა აუდუღარი რძე. ამიტომ რძეც უნდა ავადუღოთ ეს ერთნაირად ეხება როგორც ბაზარში ნაყიდ, ისე პასტერიზებულ რძეს.

სიცხეში რძეს და რძის პროდუქტებს მაცივარშიც კი 4-5 საათზე მეტ ხანს არ უნდა ვინახავდეთ.

კუჭ-ნაწლავის ერთ-ერთი საშიში ინფექციაა დიზენტერია. მისი მთავარი მტერი კი სისუფთავეა. ამიტომ ჭამის წინ ბოსტნეული, ხილი და მწვანილი კარგად უნდა გავრეცხოთ, სჯობს ნადუღი წყლით. ამით ისინი სულაც არ კარგავენ გემოსა და სასარგებლო თვისებებს.

დიზენტერიის გამომწვევი ბაქტერიები ძალიან გამძლენი არიან. მაგალითად, პურზე ისინი მთელ თვეს სძლებენ, რძეში — ოც დღეზე მეტ ხანს, ბოსტნეულსა და ხილზე — ათ დღემდე. გახსოვდეთ ეს, და, როცა პურს იყიდით, სუფთა ქაღალდში ან ცელოფანის პარკში გაახვიეთ და ჩანთაში სხვა პროდუქტებისაგან ცალკე ჩადეთ.

ზაფხულში განსაკუთრებით უნდა ერიდოთ თევზეულსა და ხიზილალას, რომლებსაც სიცხეში შეუძლიათ კუჭ-ნაწლავის ინფექციების გადამტანი გახდნენ. საჭმელი აუცილებლად ახალი უნდა იყოს რადგან მისი დიდხანს შენახვა ხელს უწყობს დაავადებათა მიკრობების გავრცელებას.

უნდა ვებრძოლოთ ბუზებს, ვარიდებოთ მათ პროდუქტებსა და ჭურჭელს. მხოლოდ ერთი ბუზის სხეულზე ხომ ექვს მილიონზე მეტი მიკრობი ბუდობს, მის ნაწლავებში კი დაახლოებით 280 მილიონი მიკრობია.

შეიძლება ავადმყოფობა შეგვხვდეთ ტბორში, ტბასა თუ მდინარეში ბანაობის დროსაც. გამორიცხული არ არის რომ წყალსაცავში მოხვდა გაუწმენდავი ჩამდინარე წყლები.

სამზარეულოში, სასადილოში, საზოგადოებრივი კვების ადგილებში, სასურსათო მაღაზიებში და პლაჟებზე უნაკლო სისუფთავე უნდა იყოს.

ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება სსრ კავშირის კულტურული და სავაჭრო ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. ამ პირობებში არ შეიძლება მთლიანად გამოვრიცხოთ ჩვენს ქვეყანაში კუჭ-ნაწლავის ისეთი მძიმე დაავადების შემოჭრის შესაძლებლობა, როგორიც ქოლერაა. სტუმრებს შორის შეიძლება იყოს ავადმყოფი, რომელსაც დაავადების საინკუბაციო (ფარული) პერიოდი აქვს, რაც ქოლერის დროს 3-5 დღეს გრძელდება. უწინარეს ყოვლისა საჭიროა მალე ამოვიცნოთ დაავადების პირველი შემთხვევები და განვაცალკევოთ ავადმყოფი.

თანამედროვე მედიცინას აქვს ამ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი საშუალებანი.

უნდა გვახსოვდეს, რომ წყალი ინფექციის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი გზაა. ამასთან ქოლერის მიკრობები სწრაფად იღუპებიან წყლის ადუღების, ქლორ-კირისა და სხვა სადეზინფექციო საშუალებათა გამოყენების შედეგად.

როგორია კუჭ-ნაწლავის ყველაზე მწვავე დაავადებათა სიმპტომები?

ეს არის კუჭ-ნაწლავის მოშლილობა, პირის ღებინება მაღალი, ცალკეულ შემთხვევებში კი ძალიან დაბალი ტემპერატურა, საერთო სისუსტე.

ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ როგორც კი თავს ცუდად იგრძნობთ მაშინვე მიმართოთ ექიმს. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დავუჯერდეთ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის შინაურ საშუალებებს. ზოგჯერ სწორედ ეს იწვევს ჩამდგარ უბედურებას — დაავადება ქრონიკული ხდება და ავადმყოფი აქტიურად ავრცელებს ინფექციას.

ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: რაც უფრო მალე აღმოუჩენთ ავადმყოფს სამედიცინო დახმარებას, მით უფრო ნაკლებია ინფექციის გავრცელების შესაძლებლობა.

კუჭ-ნაწლავის ინფექციების თავიდან აცილება ბევრად დამოკიდებულია ჩვენზე. გახსოვდეთ: ჩვენი ჯანმრთელობა ჩვენს ხელთ არის!

(საქდესი).

## კიდევ ერთი გამარჯვება

მოსკოვის „სპარტაკის" ჰოკეისტთა გუნდი განაგრძობს ტურნეს საზღვარგარეთ. მორიგი მატჩი სპარტაკელებს ჰქონდათ დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფიუსენის გუნდთან და გაიმარჯვეს 6:2 (2:0, 0:0, 4:2). საბჭოთა ჰოკეისტებიდან შაიბები გაიტანეს — კუზმინმა, ზიმინმა, შადრინმა, კლიმოვმა, გურეევმა და იაკუშევმა.

## საპრიზო ადგილები — არმიელებს

ზაპოროჟიეში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ხმლით ფარიკაობაში. სამივე საპრიზო ადგილი არმიელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს. სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა მსოფლიოსა და ოლიმპიური ასპარეზობათა ჩემპიონი მ. რაკიტა (მოსკოვის ოლქი). ფინალში მან ექვსი გამარჯვება მოიპოვა. ვერცხლის მედალი დაიმსახურა მინსკელ ვ. სიდიაკმა, ბრინჯაოსი — ლენინგრადელ ე. ვინოკუროვმა. ამის შემდეგ ხმლით მოფარიკავეებს ექნებათ გუნდური ასპარეზობა.

რაპირისტთა ასპარეზობის პირველ დღის სიურპრიზი მოხდა — სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატი ვ. ლუკიანენკო ფინალში ვერ მოხვდა.

## ერთი ტურით ადრე

სსრ კავშირის ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრებმა გუნდმა წინასწარი შეხვედრების დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ათენში გაინაღდა პირველი ადგილი ქვეჯგუფში და ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში მონაწილეობა. ჩვენი ქვეყნის კალათბურთელებმა დაამარცხეს ბულგარეთის, იტალიის, ბელგიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

მეორე ქვეჯგუფში ლიდერობენ მასპინძლები — ბერძენი კალათბურთელები.

### ჩვენი სახელოვანი სპორტსმენები

## ცეცხლის ხაზზეა კარლო დარასელია

თოფი იმთავითვე იყო მისი ტრფიალი. დაადგებოდა და ზუსტი მსროლელის, კარგი მონადირის სახელი გაითქვა. თავისუფალ დროს სულ თოფს ჩასჭიდებოდა, წმენდდა აპრიალებდა, რომ შაბათ-კვირას ისევ ერთი გასროლით ჩამოეგდო გარეული იხვი თუ ბატი. მწყერი თუ სხვა რამ ფრინველი იქ იყო — მხოლოდ ჰაერში მონადირეს ესროდა...

ალბათ ამიტომაც იყო სოხუმის სტენდზე პირველი გამოსვლისთანავე, რომ ყველა განაცვიფრა. იმ დღიდან აფხაზეთის ნაკრებში ჩარიცხეს და თბილისში რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე გაგზავნეს.

მაღალი, ტანმეტი ჭაბუკი პირველად შეხვდა საქართველოს საუკეთესო მსტენდურებს, სსრ კავშირში აღიარებულ ოსტატებს, პირველად ნახა და გაიცნო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი... თბილისის მონკავშირის სტენდზე გამართულ ასპარეზობაში ზედიზედ ამსხვრევდა ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ სწრაფად მფრინავ სამიზნეებს. ახლა მას უფრო დიდ სარბიელზე ელოდა ძნელი გამოცდა — სსრ კავშირის უძლიერეს სპორტსმენებთან დუელი.

...მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა. რესპუბლიკის ნაკრების წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცვალა: ერთნი წავიდნენ, მეორენი მოვიდნენ, დარასელია კი — იდგა და ელოდა... მორიგ სამიზნეებს, ამსხვრევდა და მაღალი შედეგებით ნაკრებში მისი ადგილის დაკავების უფლებას არავის აძლევდა.

საკავშირო სარბიელზე საქართველოს გუნდის ინტერესებისათვის მუდამ თავდამოდებით იბრძოდა, პირად ტურნირსაც ყოველთვის შესანიშნავად იწყებდა, ხშირად ჩემპიონის ოქროს მედლის კანდიდატიც იყო, მაგრამ სწორედ ბოლო სერიებში ღალატობდა ნერვები — ეს იყო დარასელიას, ამ უდაოდ ნიჭიერი მსტენდურის ერთადერთი ნაკლი, და აჰა, ისიც დაძლია.

...სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაზე ადგილიდან სროლაში ზ. მაჩხანელთან, ი. საკანელიძესთან და გ. ალავერდოვთან ერთად გუნდური საკავშირო ჩემპიონობა და ოქროს მედალი მოიპოვა. მერე სსრ კავშირის რეკორდსაც დაეუფლა, როცა 300-დან 297 ქულა მოაგროვა. წელს კი...

ამას წინათ მოსკოვი ქვეყნის მორიგი ჩემპიონატის მონაწილეებს მასპინძლობდა. ადგილიდან ერთდროულად აფრენილ წყვილ სამიზნეებზე სროლაში დაძაბული ბრძოლა გაიმართა და ქართველი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა. კარლო დარასელია სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა. 50 შესაძლებლიდან 34 ქულა მოაგროვა.

...დარასელია საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრია და საერთაშორისო შეჯიბრებებშიც ბევრჯერ უსახელებია თავი.

ო. გელაშვილი.

სურათზე: კ. დარასელია.

# „კომუნისტი" სპორტი

## თასის მაძიებელთა რიცხვი მცირდება

დნეპროპეტროვსკში გრძელდება სსრ კავშირის თასის გათამაშება ჭადრაკში ვაჟთათვის. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ტალმა, გროსმაისტერებმა დ. ბრონშტეინმა, ე. გუფელდმა, ა. ლუტიკოვმა, ოსტატებმა ი. კლოვანმა (რიგა), ლ. ალბურტმა (ოდესა), ა. კატალიმოვმა (ალმა-ატა) და თბილისელმა ს. ჩიქილიანმა ვადამდე — სამი შეხვედრის შემდეგ (ოთხიდან) გაინაღდეს თასისათვის ბრძოლის მესამე ციკლში მონაწილეობის უფლება. ბრონშტეინმა ორჯერ ადვილად დაამარცხა გ. ფისტინოვი (ფრუნზე), ხოლო მესამე პარტიაში ფრუნზელმა მოჭადრაკემ გადადებული პარტიის დამთავრებისას დროს გადააცილა და წაგება ჩაეთვალა.

გროსმაისტერმა ა. ზაიცევმა ვერ შეაფასა მეტოქის — ვაჭოელი ო. პავლენკოს ძალები და პირველი პარტია წააგო. მეორე ყაიმით დამთავრდა, ხოლო მესამე პარტიაში ძლივს გადაურჩა დამარცხებას.

ა. გიპსლისმა სამი პარტია ლენინგრადელ ვ. ფაიბისოვიჩთან დაამთავრა 1,5:1,5. არასახარბიელოა ლენინგრადელი გროსმაისტერის ს. ფურმანის მდგომარეობა. მან პირველი ორი პარტია ხარკოველ ვ. სავონთან ყაიმით დაამთავრა, ხოლო მესამე წააგო.

## გაიმარჯვა რ. ფიშერმა

ბუენოს აირესის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების გროსმაისტერმა რ. ფიშერმა პირველი ადგილი უკვე გაინაღდა. მან 14 შესაძლებლიდან 13 ქულა შეაგროვა და მეტოქეებისათვის მიუწვდომელი გახდა.

წარმატებით გამოდის საბჭოთა ოსტატი ვ. ტუკმაკოვი, რომელმაც შეასრულა საერთაშორისო ოსტატის ნორმა. 14 ტურის შემდეგ მას 9.5 ქულა აქვს და მეორე ადგილზე იმყოფება. მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ვ. სმისლოვს ჯერჯერობით 7.5 ქულით მეშვიდე ადგილი უჭირავს.

## ფინალის საგზურისათვის

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდება შეჯიბრება მძლეოსნობაში სსრ კავშირის თასზე — „იზვესტიის" თასზე. ჩელიაბინსკში გამართულ შეხვედრებში ფინალის საგზური მოიპოვეს მოსკოვისა და ჩელიაბინსკის ქალთა და ვაჟთა გუნდებმა. წარმატებით გამოვიდა მოსკოველი გ. ნეკრასოვა. მან პირველი ადგილი დაიკავა ბადროს ტყორცნაში, — 51,80 და ბირთვის კვრაში — 17,38. გ. ბოჰკოვამ 100 მეტრი გაირბინა 11,6 წამში, 200 მეტრი — 23.9 წამში. მანვე წარმატება მოუტანა თავის გუნდს ესტაფეტაში 4×100 მეტრზე.

ბრიანსკში გამართულ შეჯიბრებაში ფინალში გავიდნენ ლენინგრადისა და ბრიანსკის ქალთა გუნდები. ლენინგრადელი გ. გავრილოვა გადაახტა 181 სანტიმეტრ სიმაღლეზე, ო. დანილოვამ ბადრო ტყორცნა 57 მეტრსა და 12 სანტიმეტრზე. ნ. ჩიჟოვამ ბირთვი კრა 18 მეტრსა და 4 სანტიმეტრზე. ამ ჯგუფის ვაჟთა ასპარეზობაში წარმატება ხვდათ აგრეთვე ლენინგრადისა და ბრიანსკის გუნდებს. აქ უკეთესი შედეგი 100 მეტრზე რბენაში აჩვენა ბრიანსკელმა ე. სინიაევმა — 10,4 წამი.

## მოახლოებული ფინიში

დასასრულს უახლოვდება სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში მეხუთე საკავშირო სპარტაკიადა. ფინიშთან პაექრობა აქვთ მოტომრბოლელებსა და რადისტებს, სკუტერისტებსა და მსროლელებს, მფრინავებსა და კარტინგისტებს.

წრიულ ბილიკებზე მოტორბოლაში, რომელიც უფაში მიმდინარეობდა, წარმატება ხვდა ამავე ქალაქის წარმომადგენელს გ. კურილენკოს. იგი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ვერცხლის მედალი მოიპოვა ვ. გორდეევმა (გროზნო), ბრინჯაოსი — ა. პეტროვსკიმ (ლატვია). საერთო გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო ლატვიის მოტომრბოლელთა კოლექტივი. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი თანმიმდევრულად დაიკავეს რსფსრ-ისა და საქართველოს გუნდებმა.

სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად კრასნოდარში 200-ზე მეტი სპორტსმენი იბრძვის საწყლოსნო-სამოტორო სპორტში. ფინალური ასპარეზობის პროგრამაშია აგრეთვე რბოლა სკუტერებით, მოტონავებით, გლისერებით, კატერებით.

## გ. ლ. ოდიკაძე — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი

მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის გეოქიმიური განყოფილების გამგემ, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გიორგი ლევანის ძე ოდიკაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ღია სხდომაზე გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მთავარი კავკასიონის გრანიტოიდების პეტროგრაფიულ-მინერალოგიური და გეოქიმიური თავისებურებანი და მათში იშვიათი ელემენტების განაწილების კანონზომიერებანი".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გ. ლ. ოდიკაძისათვის გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### რადიო

12 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — რ. ლაღიძე. კამერული ნაწარმოებები, 08.30 — საოპერო მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 12.25 — ა. ხაჩატურიანი. საფორტეპიანო კონცერტი. 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი). 13.30 — ზ. ფალიაშვილი. ნაწყვეტები ოპერა „აბესალომ და ეთერიდან", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — აფხაზური სიმღერები, 17.35 — მოსწავლეებისათვის. ჟურნალ „ვოკრუგ სვეტა" ფურცლებზე, 18.10 — ნ. მამისაშვილი. სიმფონიური სიუიტა „გურიაში", 18.45 — ბელორუსული სიმღერები, 19.15 — თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის თვითმოქმედი ანსამბლის კონცერტი, 19.45 — უკრავს ე. ისაკაძე, 20.30 — ციკლიდან „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!" — ქალაქი რუსთავი, 21.00 — კონცერტი რუსთავის მშრომელთათვის, 21.30 — ციკლიდან „საბჭოთა მწერლების ახალი ნაწარმოებები". გ. არდამატსკი. „შავი ბინდბუნდი" (ნაწყვეტი რომანიდან). 22.00 — ს. რახმანინოვი. ნაწყვეტები ოპერა „ალეკოდან" 22.50 — ე. კოლმანოვსკი. სიმღერები. 23.30 — გ. ყანჩელი. მუსიკა სპექტაკლისათვის „ჩალის ქუდი" და საორკესტრო პიესები, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

### ტელევიზია

12 აგვისტო

11.10 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.20 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მ. ულიანოვი (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.45 — „ნორჩების ფესტივალი" — სომხეთის სსრ მოსწავლეთა მხატვრული თვითმოქმედების კონცერტი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, 13.15 — მხატვრული ფილმი „გზის მეათედი ნაწილი", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — გადაცემა ბავშვებისათვის — „ცანგალა და გოგონა", 18.40 — „სპორტი — მეგობრობის წყარო", 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — „ადამიანი და სამყარო" — „ნეპტუნის სამფლობელოში"..., 19.35 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „გაუფრთხილდით ეროვნულ საუნჯეს", 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.40 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „სიუჟეტი პატარა მოთხრობისათვის". 22.10 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „როცა სიმღერა ჟღერს" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.35 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. შეჯიბრება საბჭოთა კავშირის თასზე სპორტულ ტანვარჯიშში (გადმოცემა მოსკოვიდან).

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ვაკე)
13 აგვისტოს
ფეხბურთი
საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა" კლასის გუნდებს შორის
(უმაღლესი ჯგუფი)
„შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი)
ძირითადი შემადგენლობანი.
დასაწყისი 19 ს. და 30 წ.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა ორგანიზაციებში 12 აგვისტოს, აბონემენტებზე — 12 აგვისტოს 12-დან 19 საათამდე.
საერთო გაყიდვა 13 აგვისტოს 10 საათზე სტადიონის სალაროებში.
(31 ივლისის ბილეთები ძალაშია 13 აგვისტოსათვის).

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

„კომუნისტი" | თბილისი, ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-08, 99-08-09, პ/მგ. მდივნის — 93-72-80, სამდივნოს — 99-68-10, განყოფილებებისა: პარტიული — 93-67-61, პროპაგანდის — 93-22-98, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 93-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-30, ხატარსა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 93-25-54.
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
КОМУНИСТИ ИНДЕКС 60443 უე 04362 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.